

140/3  
1959

ბავშვული  
ბიბლიოთეკა



პიონერი 9  
1959

# გვინმობენ ზარები



ბერაბე კლდიაშვილი

მოვიდა,  
მოვიდა,  
ნანატრი დღეები,  
ღვგვევით ჭაღები,  
ზღვები და ტყეები.

გვინმობენ,  
გვინმობენ  
სექტემბრის ზარები,  
ღვგვევით აფრები,  
ავკრიფეთ კარები.

ზაფხული წავიდა,  
გაფრინდა ქარივით;  
ბაუ, რა გზები გვაქვს  
ავლილი,  
ჩავლილი...

ღვგვევით კეთილი  
მაგარი, ჯანმრთელი,  
იწყება თავიდან  
მერხები...  
ჩანთები...

იწყება თავიდან  
ნანატრი წუთები;  
ფიზიკა...  
ქიმი...  
ოთხები...  
ხუთები...

გვინმობენ,  
გვინმობენ,  
სექტემბრის ზარები  
და ფართოვდებიან  
მოზავლის კარები...



# პ ი თ ნ ე რ ი



საქართველოს ალკაცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო პიონერთა ორბანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უძველთესი საბავშვო ჟურნალი

7727

9

სექტემბერი  
1959

გამომავლის წელი  
XXXIII

რედაქტორი რევაზ მარგანი  
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,  
რ. ელანიძე, მ. ლეხანიძე (პ/მგ. მდივანი),  
მარიჯანი, რ. კორჭია, გ. ფოცხველიძე  
(სამხატვრო რედაქტორი).

ს ა ზ მ ი ტ ჯ ა ე ი

## შინაარსი

|  |         |
|--|---------|
| გ. კლდიაშვილი—გვიზომბენ ზარები (ლექსი)<br>. . . . . (გარეკ.) . . . . . | 83<br>2 |
| ვლადიმერ თორდუა—გულის შუქი (დოკუმენტური მოთხრობა. დასასრული) . . . . . | 2       |
| ზ. კუხიანიძე—ვეტყვი... (ლექსი) . . . . .                               | 9       |
| რ. პერკინა, ნ. ფალოძე—არტეკი მეგობრობის კერაა (ფოტონარკვევი) . . . . . | 10      |
| ბ. ბარდაველიძე—ფერადი ბურთები (მოთხრობა) . . . . .                     | 12      |
| იუმორი . . . . .   | 15      |
| თ. სახაროვი—ჩენი სკოლა (ფოტონარკვევი) . . . . .                        | 16      |
| გ. პეიშვილი—გაბარვა (მოთხრობა) . . . . .                               | 18      |
| ვპასუხოზთ შეკითხვებზე . . . . .  | 20      |
| ტარი ვესოსი—ცხენი (მოთხრობა, თარგმნათ. კოპლატაძემ) . . . . .           | 20      |
| ტექნიკის სამყაროში . . . . .   | 25      |
| პ. შეტრეველი—ორაგული (ნარკვევი) . . . . .                              | 26      |
| ჯ. ნიჭაბაძე—გულმავიწყი (ლექსი) . . . . .                               | 28      |
| გ. ჯოჯუა—შევისწავლოთ ფოტო (წერილი. დასასრული) . . . . .                | 29      |
| ვინ უპასუხებს? . . . . .   | 30      |
| მოკლედ ყველაფერზე . . . . .  | 31      |
| საინტერესო თემაზე . . . . .  | 32      |
| თავისუფალ დროს . . . (გარეკ.) . . . . .                                | 3       |



გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე—  
„სკოლისაკენ“—ნახატი გ. რიონიშვილისა. ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: ჯ. ლოლუას, რ. ცუცქერიძის, ნ. შალიკაშვილის და გ. ფოცხველიძის მიერ.





საქართველო  
საბავშვო

კვლინია თორღვა

# გულის შუქი\*

ნან. ჯ. ლოლუასი

(დოკუმენტური მოთხრობა)

## ნაწილი მეხუთე

1

სტუდენტები დიდი სისწრაფით მიჰქროდა ზაპორის გზებზე, კურსი ბუდაპეშტისაკენ ეყირა. იგრძნობოდა ფრონტის ხაზის მოახლოება. შორიდან მოისმოდა ზარბაზნების გრიალი. გზად ხედებოდნენ დამწვარსა და დაღვრილ ტანკებს, წაქციულ ტელეგრაფის ბოძებს, აყრილ რკინიგზის მაგისტრალებს.

ფრონტის ხაზამდე ორიოდე კილომეტრის დაშორებით მანქანამ შეინელა სევა და მერე გაჩერდა. ხიდი დანგრეულიყო. უცებ წინ მიმავალი მანქანებიდან მოისმა შეძახილები: „თავდასხმა პაერიდან!“

წამიც არ გასულა, რომ სტუდენტებიდან ყველანი ძირს დაეშვნენ.

მანქანიდან რომ ჩამოხტა, ოთარმა გაირბინა რამდენიმე მეტრი გზიდან და წაწვა მიწაზე. უკან გრუხუნი მოესმა. გერმანელთა მოიერიშე თვითმფრინავები ბომბავდნენ ავტოკოლონას, ტყვიამურქვევიდან ესროდნენ ადამიანებს. სულ ახლოს გასკდა ყუმბარა, იელვა ალმა ოთარის თვალებში, რაღაც მძიმე და ბნელი ჩამოწვა კაბუჯის გონებაში.

\*) დახასრული. იხ. „პიონერი“ №16 5, 6, 7 და 8.

როცა გონს მოვიდა, გერმანელთა მოიერიშეები აღარ ჩანდნენ. ძლივს ადგა. თავი უბრუოდა, გული ერეოდა. „კონტუზია!“ გაიფიქრა მან, „მიგრამ რაკი ამის მოსახრება გაქვს, საშიში არაფერია!“. და იგი შეუდგა თოვლით პირისახის სრესვას. ცოტათი რომ გამოფხიზლდა, ბარბაცით გაეშურა წინ. იწყებოდა ფრონტის ხაზი. ოთარი გაემართა ღუნაისაკენ, რათა მოენახა კალგანოვის საფლაგანო დაზვერვის ჯგუფის ადგილსამყოფელი. კალგანოვთან მის ახალი დავალება ელოდა—გადასულიყო ბუდაში, ღუნაის მეორე ნაპირზე, და მოეხდინა დაზვერვა ოცდაათკილომეტრიან უბანზე.

\* \*

მარია ლუიზას ქუჩაზე, შტაბ-ოთახში, მაგიდაზე გაშლილ რუკას დახრია კაპიტან-ლეიტენანტი კალგანოვი, ოთარ ჩხეიძე, ალიოზა გურა და ჟორა ვერტენტეიკოვი.

— მაშ ასე!—თქვა კალგანოვმა და წამოიპაათა. სამი მშვერავი მდუმარედ დადგა მის წინ.—მთავარია მიკვლეულ იქნას ცრუ დარტყმების პუნქტი. გერმანელთა გარნიზონმა კარგად იცის, რომ განადგურება მოელის, ამიტომ იგი შეეცდება გაარღვიოს გარშემორტყმა და გაიქვას ჩრდილოეთით. თქვენი ამოცანაა—გახვიდეთ მტრის ზურგში და ზუსტად განსაზღვროთ, რომელი მიმართულებით აპირებს იგი მთავარ დარტყმას გარღვევისათვის. ტანსაცმლის ფორმა —სამოქალაქო. შეი-

არაღბად მხოლოდ დამაზიარებელი და ხელუწყობარები. ჩინებდნენ ლეკსა და წინააღმდეგობით უნარგულნი!.. გერმანელნი კონა ხაზს გადასხდნენ მხოლოდ ღამით.

სამი მოძრავე სილუეტით შთანთქმის სინდონი...  
დღესასწაულის დამაზიარებელი ისინი მთავარდროებით ქრანდნენ ქუჩაზე, ნიურბერგის ზონის დაცარიელებულ სივრცის სახურავიდან სახურავზე, მიბოძრდნენ ყინულის თხილი ფენით დაფარულ დანიაზე, სანამ გაღმა, ბუდას ქუჩაში გამოვინისას არ ამოაკვეთს თავი და... არხიანდ, ვითომ არაფერი, არ შეერიდნენ კანტორენ-ტად მოსართულე მოქალაქეებს, თვითონაც სამოქალაქო ტანსაცმელზე გადაცემულნი.

ნერვების როგორი დაქიმვა სჭირდება ადამიანს, მშვიდად იყოს ასეთ გარემოებაში, გვერდით ჩაუაროს მტრის ტანკებს, საგუნდაგუნდს, ჯარისკაცებს თუ ოფიცერებს, და სახეზე არ გამოვსახოს არც შიში, არც დამნეწლობა, არ გაამზილოს იგი სახის ფერის ცვალებადობაზე.

ხუთსართულიანი შენობა—შეიცარიის საელჩოს რეზიდენცია...

— აქ იქნება შესახვედრი პუნქტი!—გურას ნაბიჯი არ შეუწყვეტია, ისე განაგრძობდა თითქმის ბუტბუტს.—  
შებენდნენ დრო—საღამოს ექვსი საათი. პირველმოსული იღლის ნახევარ საათს, მეორე თვით შეეცდება გაიქურას ჩვენი ცვლაგებისაკენ... სინაშვილ! სიმშვიდე! მცირეოდენ დანეწლობას შეუძლია ჩაშალოს საქმე. მაშ, ასე: ვითყვით ორ ჯგუფად. ლონია—კვარტალის მარჯვენა მხარეს!..

დადიოდა ოთარი ბუდას ქუჩებში, იქვირტიებოდა ეზოებში, ავიკრდებოდა ჯარების განლაგებას, არკვევდა მათ რიცხვს, სახეობას, საიამარ ტექნიკას. არაერთხელ მოუბრუნდებოდა გავლილ ქუჩებს, რომ ყველაფერი ერთხელ კიდევ შეემოწმებინა. გზად ხდებოდნენ არა მარტო პიტლერლები, დაძრწოდნენ მოახლოებულნი შენობისძირის შიშისაგან თავგზადაკარგული ვლასოველები—სამშობლოს მოლაღატენი, მსგავსინ წყალში ჩაყრილი ვირთხებისა, რომლებიც ამაოდ ეძებენ გასასვლელს.

სიჩუმე იყო ფრონტზე—წინამორბედი ქარხნოსისა. ნერვიული დაძაბულობა უკიდურეს საზღვარს აღწევდა. შეგება იმაზე გრძობდნენ, რომ ჯერჯერობით საქმე რიგზე მიდიოდა—სამივეს ცალ-ცალკე თვალთვალთ დასტურდებოდა, რომ ცრუ დარტყმას მტერი სწორედ დუნის ნაპირიდან აპირებდა, ხოლო სინადილეში მთელი ძალები კონცენტრირებული იყო აქედან სამ კილომეტრზე—გელერტბენის გორაზე. დღით არაფერი გადაჯგუფებდა არ ხდებოდა. ჩანდა, ყველაფერს ღამით აკეთებდნენ, შენიღბულად, რათა შეუნჩინებლნი ყოფილიყვნენ.

ათი დაძაბული საათი იარა ოთარი ბუდას ქუჩებში—გელერტბენის გორის ფერღობებიდან ზედ დუნისას სანაპირომდე.

საღამოვდებოდა, როცა მშვიდობით მიაღწია შევი-

ცარიის საელჩოს შენობამდე, ნათვალთვალეები ცნობებით, შობაბეჭდვებით დატვირთულმა. ახლა მას სიკაცხველი იმდენად არ ეზოგებოდა, რამდენდაც სინადილეში, რომელიც კალგანოვისათვის უნდა გადაეცა. საელჩოს შენობასთან არაფერი ჩანდა—არც გურა, არც ვერტენიკოვი. დღესასწაული დასთვალთ იყო. ოთარი იყო წინ და უკან ნერვიული სიარული. ეს ყველაზე საშიში იყო. ნერვები ღალატობდა, ახლა მას ერთი ჯარისკაცის შეხვედრაც გაამზელდა, გაამზელდა თავისივე შიშამზღარი, დაცემული, ამღერეული თვალეები. თავის მესხიერებაში ცდილობდა აღედგინა ლექსიკონიდან დაზიარებული ორიოდ უნარგული სიტყვა, და არ შემოლოდა ასევე ლექსიკონებით დასწავლილ ბულგარულსა და თვალთვალურში. პაპიროსი ამოიღო, მოუყიდა და დაიწყო, თუმცა მწვეული არ იყო.

— თუ შემიტება მომიცილოთ!—ეს სიტყვები უნარგულად იყო ნათქვამი.

„მშვიდად!“—გაუფლვა ოთარს თავში, მოიკრია ნერვები და შეეცადა მღელვარება არ დასტყობოდა. მობრუნდა ამ ხმისაკენ. ალიოშა, გურა!

თითქმის ბნელი ღამე გასთენბოდეს ოთარს და, გურას აღმეორებულ სახეს რომ შეხედა, შერცხვა—რატომ ღელავდა თვითონ ასე და რატომ ასე ეუფლებოდა შიში. იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ არანაკლებ დღეში იყო გურა.

ოთარი მშვიდად მოუყიდა პაპიროსი გურას. ერთი-ორი სიტყვა უნარგულად გადაულაპარაკეს ერთმანის, გამვლელთა გასაცანად.

ახლა ვერტენიკოვი ჩაურა მათ, ოდნავ შეახო მხარზე მხარი გურას და განაგრძო გზა. მას მიჰყვა გურა. ცოტათი დაშორებით მათ უკან წელი ნაბიჯით ოთარიც დაიძრა... მზერაგებებს ამ შეეძლოთ დაყოვნება. მათ ცნობებს ელოდა ფლოტილია.

\* \* \*

... აღფრთოვანებული და გამარჯვებული კალგანოვი ფლოტილისა შტაბისაკენ მიუშვრებოდა მზერაგების ცნობებით. 11 თებერვალს გემინალები თავგანწირვით ცდილობდნენ გავრღვივით გარშემორტყმის რკინის რკაელ და მთელი ღამე გრძელდებოდა ბრძოლა.

მზერაგებებს გამოცდები ბრწყინავლად დაიკირეს—ყურადღების გადამტანნი, შენიღბული ცრუ დარტყმის აღმოჩენით. შემდეგ, 12 თებერვალს, ჩვენი ჯარები გადავიდნენ ძლევამოსილ შეტევაზე.

13 თებერვალს ბუდასქვით გათავისუფლებული იყო და უკრაინის მეორე და მესამე ფრონტების ჯარები შეერთდნენ.

მზერაგები გავიდნენ ქუჩაში. ყინული ღვებობდა. დუნია იწინებოდა. ჩანდა იგი ცისფერი და ღიადი. მზიანი დღე იყო. უნგრეთის ღვებობის მცხოვრებლები თავმსუფარებიდან ნელ-ნელა გამოდიოდნენ, ეფინებოდნენ ქუჩებს, მოედნებს, ეხვეოდნენ ერთმანის და



ოთარმა გაირბინა რამდენიმე მეტრი გზაზე და წაწა მიწაზე.

ულოცავდნენ მშობლიური დედაქალაქის გათავისუფლებას.

დუნაის დინების აღმა, ვალხობილი ყინულის ლოდების შესახვედრად დაიძრნენ დუნაის სამხედრო ფლოტილის ხომალდები... და ფრონტიდანაც დაიძრა მშობლიური თბლისისაკენ სამკუთხედი წერილები.

2

„ძვირფასო მშობლებო! მეზღაფრული სალამი. ჩემი საბრძოლო გზა ოდესიდან დაიწყო, ამჟამად ვიმყოფები უნგრეთის დედაქალაქში, ბუდაპეშტში. ამ ქალაქის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ვიწინააღმდეგობდი. ყველაფერს, რასაც ვერობაზე წიგნებში ვკითხულობდი, ახლა საკუთარი თვალით ვხედავ. მაგონდება ჩემი ფრიალები გეოგრაფიაში... ცოტ-ცოტა ვისწავლე რუმინული, უნგრული, სლავური ენები... გილოცავ, ჩემო დედი, შრომითი მამაცობისათვის მედლით დაჯილდოებას. გთხოვ მამას მოუარო და გაუფრთხილდე...“

მოდის წერილები ფრონტიდან, მშობლების გულს გამზარებელი, მაგრამ მაინც მშობლიური ცრემლების დამღვრელი.

ოქ კი, ვენისაკენ მიმავალ გზაზე ფლოტილის ხომალდებს წინ ელოდებოდა უკანდახეულ მტრის მიერ დუნაიში ჩაწყობილი ნაღები. ახლა ამ ნაღებებს უნდა-

და გაქმნენ, რომ ხომალდებს გზა-გაკვლიათ ევლოთ სახმელეთო ჯარების თანხლებით ისევ ისე შეფრხებულად და შეუფოვრად.

ოთარი კვლავ თავის ძველ საყვარელ მისამართს, ზოლოტოვთან მსახურობს ცისფერ დუნაიზე და ებრვის ნაღებებს და სიკვდილს, ახალგაქცობილ მეორე სტრის ზემდგვ გრიგორივიჩთან ერთად.

და აი, გაზაფხულზე აპრილში...



დუნაის ფლოტილის სარდლობა ნავსადგურ ლინზე ამზადებდა დარტყმას. მუშავდებოდა ნავსადგურ დესანტის ვადასხმის გეგმა. მისი განხორციელება ზოლოტოვს ხედავდა. ზოლოტოვის სადესანტო გეგმის დივიზიონს ამ ძველ გზაზე მიაცილებდა ოთხი გეშენკატერი. უმთავრო, ბნელი ღამე იცავდა ვარსკვლავები ციმციმებდნენ დესანტი მღელვარებით გასტროვოწინ მკვდარ სივრცეს და მოუთმენლ ელოდა მონიშნული ნაპირის მოახლოებას.

საერთო დაძაბულობა იგრძნობოდა საფლაგმანო ხომალდის ქიშხე იდუცვიამფრქვევი. მასთან მიწოლილ ჩხეძეს ძალუმად უცქვდა გული, წინ გასქეროდა უკუნეთ ღამეს.


ზოლოტოვმა ბრყინვალედ შეასრულა თავისი ჩანაფიქრი — მტრისაკენ შეუშინველად მიუახლოვა ნაპირს ხომალდები და დაიწყო კიდევ დესანტ გადაღება.

გერმანელებმა მხოლოდ მაშინ წინსუნეს დესანტი, როცა მან პირველი ზღუდე დაიკადა თედასხმისათვის მოემზადა.

პირში აიჭრნენ მნათი რაკეტები და გაშოშვლდა იგველი ყველაფერი. ამას მოჰყვა ძლიერი ცეცხლი. უტყამდნენ მტრის ტყვიამფრქვევები, ნალმსატორცნებქვეშეები. დესანტს ახლა ზოლოტოვის ხომალდებისგან მხარდაჭერა სჭირდებოდა. გერმანელები გადმოდიოდნენ იერიშზე, რომ დესანტი უკუქცეით და დუნაიში ჩაყარათ.

ჩვენმა ჯავშანკატერებმა და სწრაფმა ვალმა სადესანტო კარკამუნმა მოხერხებულად პოზიციას დაიკავეს საპასუხო ცეცხლი გასხნეს. ხომალდების ირგვლივ სდებოდნენ მტრის საარტილერიო ყუმბარები, ცას სწვდებოდა წყლის შადრევნები. ზოლოტოვის მოწინავე ხომალდი იფარავდა დესანტის მარჯვენა ფლანგს. გერმანელებმა ახლა მთელი ცეცხლი ზოლოტოვის მოწინა ხომალდისაკენ გადაიტანეს. რამდენიმე ყუმბარა მოხვდა ხომალდის კორპუსს და იფეთქა ხანძარი. ხომალდი ეკიპაჟი ცეცხლქვეშ მამაცურად ებრძოდა მტერს.

ჩხეიძე ლენტს ლენტზე სილიდა და ურტყადა მტრ ტყვიამფრქვევადან.



კვლავ იფეთკა გენგის ხანძარი. ალი სულ უფრო უფრო აღედგინა თიარს. კვამლში გახვეულს სუნთქვა გვეროდა. როცა ნიაგი კვამლს ფანტავდა, ჩხეიძე ხედავდა თუ ნაბრტე როგორ მამაცურად იეირიებდა დესანტი მტრის იერიშებს და ერთი ნაბუჯითაც არ ახედავდა უკან. მაგრამ ახლა მოწინავე ხომალდის ირგვლივ უფრო გახშირდა ყუმბარების სკვობა. ქვეყნის თითქმის მთელი თვლა დაჭრილი იყო; მაინც ტაროვში არაინ ჩადრიდა ჭრილობის შესახვევად, რაიმე თომბად საბრძოლო პოსტს.

ხომალდის ქმს უცებ მსხვილი ყაღობის ქვეყნის ყუმბარა მოხვდა. აფეთქების ლავამ ჩხეიძე გვერდზე გადასროლა. წუთით გონება დაჰკარგა. გონს რომ მოვიდა, საზარელი სურათი ნახა—მისი მეორე ნომერი მეტყვიამურტვევი მარჩნეო სისხლის გუბეში იყურავდა. სცადა წამოდგომა, მაგრამ ვეღარ შესძლო. ახლდა იგრძობ, რომ ისიც დაჭრილი იყო. სისხლში დამბალი მისურა ტანზე ეწებებოდა, მარჯვენა მკლავთან აუტონელ ტუყივლს გრძნობდა, მოგლეჯილი ტუჩი დაჰკიდებოდა, თავიდან სისხლი ჩამოადრიდა და სახეს უხანდა. ძალა ელლოდა. ყველაფერს ერთხი გაუნძირველად წოლა, მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავდა, სიკვდილს დანებებოდა.

დასძლია ისუსტე, მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და გახობდა თავის ტყვიამურტვევისაკენ, მაგრამ პირველი დემეო. ყურები საოცრად უფშუფუნებდა, ხელები უკანკალებდა. ისევ წამოიწია და გაფორთხდა წინ, მძლავრად ჩაბლუჯდა ტყვიამურტვევის სახელური, გამოსწია ჩახმახი და მიუშვა მტრისკენ ტყვიის ცხელი შადრევანი.

... უკვე ირთავდა და ავი ხედავდა თუ როგორ გადაეღობა მისი ტყვიამურტვევის ტუყხლმა გზა მოიერიშე გერმანელებს.

ზოლოტოვი სიმაყით უფვალთვალებდა ბრძოლის ველს—დესანტს მოესწრო ჩასანგრება და ზღუდზე გამაგრება. მტრის ბევრი საცესლე წერტი მიწისა და რკინის ნამსხვრევების საზარელ ქაოსად ქვეულოყო. ნაპირი მოფენილი იყო ვეამებით. ქვეითი ჯარი უკვე ვეღარ გადმოდიოდა იერიშზე. ბრძოლა ყუჩღებოდა. მაგრამ, აი, ზოლოტოვის გემის ქიმზე კვლავ აფეთქდა ყუმბარა და... დაღუმდა ჩხეიძის ტყვიამურტვევი...

\* \* \*

ქაქუთაი ხალათებიანი და პირახვეული ექთანებით გარშემორტყმულმა მალალმა, გამხდარმა, სათვლიანმა ექიმმა საზეიმი დღემილში მალლა ასწია პინეტით და მცირე ხნის შემდეგ პრიალა ლამბაქზე დაღუწვა ლითონის სისხლიანი უკანასკნელი ნამსხვრევი.<sup>3</sup>

ნამსხვრევმა ყრულ გაიხარუნა. ეს იყო ყველა აღრიწვლილ წერილი, მაგრამ მრავალწინაგოვანი. ამიტომ ყველაზე მეტი ჯაფა მის ამოღებაში დაადგა ქირურგს; იგი ამოღებულ იყო მარჯვენა, უკვე ამოგლეჯილი თვალის სიღრმიდან და, უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაზე მძიმე, აუტანელ ტკივილებს აყენებდა დაჭრილს... გრძელდებოდა მისი ამოღება ნახევარ საათზე მეტ ხანს, დამაბულ ღუმელში, რომელსაც დაჭრილი მძიმე, აჩქარებული სუნინჯა არღვევდა—მარტო სუნთქვა, მას არ ახლდა არცერთი ამოკვენა. მხოლოდ დროადარო ეღრიცებოდა დაჭრილს სახე და უთართლდა სახის დაღუბიანებული კანი, რომელიც ისოდნ მცირედა დარჩენოდა. ქირურგის ასისტენტი, ექიმი ნინა ბორისოვი, რომელსაც მხოლოდ შავი თვალები და თეთრი შუღლი უხანდა, და გაფურცლებდა, რომ კაცკაციელი უნდა ყოფილიყო, იდგა სიაპერაციო მაგიდის მეორე, ქირურგის მოპირდაპირე მხარეს, დაჭრილის მკერდზე დაჭრილი. ერთზე მეტ მექანიკურად წაიღო ხელი დაჭრილისაკენ, რათა მაჯისცემა გაესინჯა, მაგრამ მწაფე სინამდვილემ გულს სიღრმეში სირცხვილი და გამოუთქმელი სიბრალული აგრძნობინა—ის კი დავიწყებოდა, რომ დაჭრილის ირთვე ზელი იდაყვეყმით მეტ-ნაკლებ სიგრძეზე ამუტირებული იყო და შორიახლო ტამტზე ესკევა. მეგრე უცებ გვერდისაკენ გაუცურებდა ხელს და გრძნობდა როგორ აჩქარებთ ბაგიუგობდა გული ბინტების სქელ ფენაში გახვეული მკერდიდან. ამოკითხა თვალთვან რაიმე, ახა რაღას ამოკითხავდა—ერთი, მარჯვენა, უკვე ბრძოლის ველზევე ამოუთხარა ნალმის ნამსხვრევს, მეორეში, საღში, იჯდა ნამსხვრევი და ის



კვლავ აფეთქდა ყუმბარა და... დაღუმდა ჩხეიძის ტყვიამურტვევი

ივლი, დასისხლული და დაბინდული, უაზროდ მისჩერებოდა ერთ წერტილს, ველარაფერს ხელდავდა. იქნებ შეკითხვად რასმე სიმურის წუთებში, მაგრამ სენა, განსაკუთრებით მარცხენა ყურში, ჯერაც არ დადბრუნებოდა. იქნებ ტურების თორაღვით მიიწვ არამე გაეგვრა, ერთი სიტყვა მაინც მოისმინა, მაგრამ ტურებიდანაც ნამსხვრევები ჰქონდა ამოღებული და ახლა სქალად დაბინტული. რჩებოდა მხოლოდ ფეხები, რალაც საოცრად გადაღრმობილი ფეხები, რომლებზეც ხელის მოსმით, მათგან სიბნოლს შეგრძნობით შეეძლო ნინა ბორისოვანს ეთავითვალდებინა სიცოცხლის მიმდინარეობისათვის ეს მგონი შეოთხმეტია.

ჭირურგმა ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, რომ იგი არავისადმი არ იყო მიმართული,—თავისთვის.

მას უყვე მოეხსენა საფარი პირიდან და სპირტში გაველებულ ხელებს იმშრალებდა ისე, რომ თვალს არ აშორებდა ლითონის ნამსხვრევებიან ლამბაქს.

— არ შეგცდარხართ, ამხანაგო პოლკოვნიკო! მე-თითხმეტია,—დაუდასტურა ნინა ბორისოვანმა, რომელიც დოღბანდით სიმურის ცეც ოფლს სწმენდა დაკრილს შუბლიდან,—მე-თათხმეტია!

— ქილაში!—მიმართა პოლკოვნიკმა უფროს მედიცინის დას და ანიშნა ლითონის ნამსხვრევებზე,—აი, დაფხრუნებთ მარცხენა თვალში მხედველობას, და ვუჩვენეთ, ნახოს რა გადაიტანა. ჰო, ხელები? ხელები დაამარხვენით...—მხარზე მკლავი გადასლო, ფანჯარასთან მიიყვანა. ღია სარკმელი თითქოს ერთბაშად შემოიჭრა გაზაფხული, თითქოს ახლა-ღა იგრძნო პოლკოვნიკმა, რომ ვარეთ გაზაფხული იდგა და ხეივანდა ნაირფერად მკიანხმული,—აი, იმ ახალგაზრდა, თეთრი არყის ხის ქვეშ! და, ნიშანი რომ ღირსეული დაუდონ, დე იყოს პატარა საფლავი...—აქ მცირე ხანს დაფიქრდა პოლკოვნიკი,—მეომრის ხელებისა!

ნინა ბორისოვან მღუმარედ გასცქეროდა ღია სარკმლიდან აყვავებულ ბუჩქებს, ყვავილებად აფეთქებულ ზაღს, ნათელ, მოწმენდილ ცას, თითქოს არც გაუგონებ პოლკოვნიკის სიტყვები თავის ღრმა ფიქრებში ჩაფლულს. გულზე ხელი დაიკრთა, თვალი მიაშტერა იმ ახალგაზრდა არყისხეს, რომლისკენაც უფრო მკაფინდით დაჭრილის ამშურტირებული ხელები დასამარხავად.

— თქვენ შეხედდითხართ ასეთ დაჭრილს, ანდრეი ესევილოვიჩი?

ეს შეკითხვა მოულოდნელი იყო. ჩანდა, ნინა ბორისოვანა ჯერაც არ იყო გამთითმული ხანგრძლივი, მძიმე ოპერაციის შთაბეჭდილებებიდან.

— ცოცხალს აღარ,— უპასუხა პოლკოვნიკმა სათვალეების წყნდით.

3

თეთრი შენობა — ჰოსპიტალი — აპრილის ბაღში. ფანჯრებში იჭრება გაზაფხულის თბილი, ცხოველმყოფელი მზის სხივები. შორეულ ჰორიზონტს თითქოს თხელი

ნისლი დასწოლია. ოთახში სამარისებური სიჩქარე თერთად ქაოქათებს ლოგინი, მზის სხივები დასცმცილებენ. საწოლის შორიახლო, დაბალ სკამზე, მის ნინა ბორისოვან და თვალს არ აცილებს ავადმყოფს, სანამდრე მხოლოდ მარჯვენა თვალს აქვს დაბინტული. სახიდან უკვე მოხსნილია ბინტი. კრილოვები სადგზე შეხორცუბას იწყებს. აქა-იქ დაჩრჩენილა ღენთის ღრმა კვალმეულებური „ხალბი“.

ბალიშზე თავი შეინძრა. ოდნავ ღია ბაკიდან მოისოსიტყვები:

— ვინ არის აქ?  
ნინა მაშინვე არ გამოხმაურებია. თითქოს არა სჯეროდა, რომ ეს სიტყვები იმ საწოლთან მიმოსლო.

— აიდან ის არაა?— წარმოთქვა კვლავ ავადმყოფმა ახლა მიმჭრალი ხმით, და შეეგუა იმას, რომ ოთახში იგი მარტო იყო, მაგრამ ამ დროს საწოლის ძვიდეს ორივე ხელით დაყრდნობილმა ნინამ უპასუხა:

— მე ვარ აქ, ექიმი!

ავადმყოფს არაფერი უთქვამს.

— აქ ვარ, ამხანაგო მატროსო, ექიმი!—ახლა მთლად ახლოს მიიტანა ნინამ პირი ავადმყოფის მარჯვენა ყურთან, რადგან იცოდა, რომ მხოლოდ ამ ყურს დაბრუნებოდა ცოტათი სენა.

— ა! ექიმი? ეთილი... სადა ვარ?

— თქვენ წყებათ ჰოსპიტალში. ჰოსპიტალი იმყოფება ავსტრიის დედაქალაქ ვენაში.

— ვიცი ვენა. ბრძოლით გაგვივლია იგი... ახლა ღამეა?

პასუხი იგვიანებს. ნინას ყელში ებჯინება ცრემლი და სიტყვა აღარ მოსდის.

— წახვედით?

— თქვენ მეკითხებით რა დროა? თითხმეტი საათია შუაგეროპის დროით.

— მე კი შეგონა, შუეი ენთო.

— არა. მზე დაგნათით. მოგაფაროთ?

— მე მიყვარს მზე. თქვენ ვინა ხართ? მე მინდოდა მეთქვა—როგორი ხართ თქვენ? დედად გიგულეთ, თუ დაღ?

— თქვენი დედობისათვის ასაკი არა მყოფი, დაღ კი ცოტათი უფროსი ვიქნები.

— მამო, ოცისა?

— მეტისა. ოცდაოთხისა.

— ახლა აპრილია, ხომ? ასე მახსოვს, ეს ამბავი აპრილში გადამხდა. სექტემბერში თვრამეტისა გაეხდებო... ექიმი, ერთი მითხარით: მინდა გავშალო მუშტები და ვეღარა ვშლი, სულ შეეუშული მაქვს. რატომ?

პასუხი იგვიანებს. კვლავ ყელში მობჯენილი ცრემლი უშლის სიტყვას. ახშობს ცრემლს, აკრებს ძალას ნინა:

— ხომ იცით, თქვენს მდომარეობაში ავადმყოფს ეკრძალებოდა ხანგრძლივი ლაპარაკი.

— მე დიდი ხანია აღარაფერი მითქვამს. თითქოს დღეს პირველად ამომეღვას ენა. რა საბრალონი ყოფი-





— მე შევიმსუღუბებთ თქვენ ჩემზე წარმოდგენას.  
წარსული გახსოვთ?

— ყველაფერი, უკიდურეს დეტალებამდე გვახსოვ-  
რი, გარდა იმ მომენტისა, როცა მე გონება დავკარ-  
გე ლინცის მისადგომებთან.

— მაშ, თქვენ ფოთი გეხსოვებათ, სამხედრო საზღ-  
ვო სასწავლებელი.

— ფოთი...—ურდულ გამიგორა დაპირილმა.—სამხედ-  
რო-საზღვო სასწავლებელი. ჩემი მოსვლა თბილისის  
კომკავშირის საგზურიით... ძალიან ტკბილად. ყველაფერი  
წარსული—გადაღებული და დამძლეული, ტკბილდება  
მერე.

— კეთილი. თქვენი სადილობის დროა.—გადაუხვია  
საუბრიდან ნინამ,—აგერ მოაქვთ კიდეც. ისადილეთ და  
მიეცით თავი ძილს. ჩვენ შემდეგ განვაგრძობთ საუბარს.

ფეხები ფრთხილად შემოალო კარი სანტიარამო ქალმა  
და ოთახში ცხელი სადილის ოხშივარი შემოიტანა.



ლონია ჩემო პატარა იუნგა, შემოპხველ ერთი!

ლან მუნჯები. ნულარ დამიშლით. მე ისე, ნელი ხმით...  
როგორი ხართ თქვენ? რა ფერის თმა გაქვთ?

— შავი. საერთოდ შავგვრემანი ვარ, ბევრს ჭართ-  
ველი ვგონივარ. ოდესიდან ვარ, გვარად ციბულკო...  
— ვიცო ოდესა. ჩემი გზა იქიდან დაიწყო. ძნელი  
გზა, ექიმო!..

მერე წუთით შეჩერდა. გაიღიმა. როგორ უხდება ეს  
თეთრი, მძიმეხეივით ასხმული კბილები მის შავგვრემან  
სახეს! საკვირველია, როგორ შერჩა მას ეს კბილები!  
ნინას ეს ღიმილი ვიღაცას აგონებს, შორეულს, მაგ-  
რამ სამაისოვროს, ნეტავ საიდან?

— თქვენ ჩემი მკურნალი ექიმი ხართ? მე შინდა  
თქვენზე მკონდეს წარმოდგენა გონებით მაინც. მაპატი-  
ეთ ასეთი შეკითხვები. თქვენ საშუალოზე ცოტა მაღალი  
ტანისა იქნებით. თვალწარბი შავი, ალბათ. სახის კანი  
შავგვრემანი, ოდნავ ფერმკრთალი...

— წახველით?

აიადმყოფს პასუხი არ მიუღია. ნინა ფეხაკრეფით  
გავიდა ოთახიდან.

4

...კოსპიტლის ფანჯრებიდან მოჩანდა ბუნების დი-  
დებულო სანახაობა—უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი  
ესევენებოდა კარპატის მთებს იქით—მზე ჩაიღოდა.

ნინა ბორისოვანას მოეთაფებინა პალატების შემოვლა,  
იღვა ფანჯარასთან იმის მოლოდინში, თუ როდის შეი-  
შმუშენებოდა ავადმყოფი.

კარებზე კაკუნის ხმა მოისმა. ნინამ მიიხედა და იქით-  
კენ გაემბრათა. მაგრამ სანამ კარებთან მივიდოდა, ორი  
უცნობი, მხრებზე უხერხულად მოგდებულთ თეთრი ხა-  
ლთით, უკვე იღვა ოთახში და დაბნეულად აცეცებდა  
თვალებს.

— ჩვენ დაკრილთან ვართ, ექიმო!— ხმის კანკალით თქვა ორში უფროსმა და გაუბედვად გადმოგდა ნაბიჯი.

ექიმმა არაფერი უპასუხა, უსიტყვოდ წააქვდა მათ საწოლისაკენ, დადგა შორიახლო და მიაპყრო თვალი ჯერ ავადმყოფს, მერე მოსულთ. ამ მკაცრ ღუმელში ნათელი იყო სკამის მიძიმე სერიოზულობა.

— ლონია, ალექსეი! ძმობილო! — დაიხარა საწოლთან და ფრთხილად შეახო საბანზე მარჯვენა ხელი უმცროსს. მის მარცხენა ხელი მინტეგში ჰქონდა გახვეული და კისერზე ბინტივით ჩამოკიდებული. ვადედილი ბუზოლიდან მეზღვაურის მისისურა უჩანდა, მისსურის ქვეშ ყელქვეით ბინტი ჩანდა, ოდნავ სისხლის ნაცონით.— მოგვდით შენთან, ძმობილო!

— ზვეენ, აქეთ, მარჯვენა ყურისაკენ მოდი და ხმადაბლა, ვარკვეით ელაპარაკეთ,— მიმართა საწოლზე დახრილს ექიმმა.

— გრიგოროვიჩი ვარ, ლონია; გროზა ვარ!

— ეს შეუძლებელია! — ძმამდე წარმოთქვა ოთარმა, — შენ ხომ ჩემთან ერთად იყავი?!

— ჩვენ ვართ, ალექსეი, ჩვენ! როგორ გრძნობ თავის! — ზოლოტოვი იყო, მეთაური, რომელიც ამდენ ხანს ღრმად დაფიქრებული, გაოგნებული იდგა, ახლა კი ცდილობდა თავისი სიტყვებით სიმხნევე შეეტანა ამ მძიმე გაეროცვაში.— ლონია, ჯილდო მოგიტანეთ, რომლითაც მიფარობის სახელით სარდლობამ დაგაჯილდოვა მამაცობისათვის...

ზოლოტოვი და გრიგოროვიჩი მარჯვნივ ერთი-მეორეს გადახედეს, მერე ექიმს...

ახლა ყველას ყურადღება მიიპყრო ოთახში შემოქრილმა ახალგაზრდა ქალმა, წინ გახსნილი თეთრი ხალათით, რომლიდანაც სამხედრო გენინასტურა მოუჩანდა. ნინამ თვალს შეავლო მის პატარა მკერდზე ჩამწკრივებულ ორდენებსა და მედლებს.

— ლონია! ჩემი პატარა იუნგა, შემომხედე ერთი! მოთმინებადაკარგულმა გაინაპირა ყველა, წამოიჩოქა ოთარის საწოლთან. ჰკოცნიდა ოთარს შუბლზე, ლოყაზე...

— კატია... კატეკა, დობილო! — ბუტბუტებდა ოთარი, — შენ საიდანღა მომხახე, კატეკა...

ზოლოტოვი და გრიგოროვიჩი ზურგშექცევით იდგნენ, თავდახრილნი. ჩანდა როგორ უთრთოლათ მათ მხრები. ნინა ბორისოვნა იდგა სარკმელთან, ცხვირის ხოცი თვალზე აეფარებინა. მასაც უთრთოლდა მხრები — ქვითინებდა.

\*\*\*

...როცა ოთარი ვენის ჰოსპიტალში, ფრონტელი მეგობრების ამ გარემოცვაში იყო, შინ, თბილისში მისი მშობლები, მეზობლებითა და კეთილებით ვარაუდობდნენ, კითხულობდნენ დიდი ხნის დაგვიანების

შემდეგ მიღებულ წერილს, მაგრამ უკვე უცხო ხელით ნაწერს, რუსულად ნაწერს:

„დიადი პატივცემული ამხანაგო ჩხეიძე, ჩვენ ძალზე გვიყვარებდა ამ წერილის წერა, რომლითაც თქვენ შეიტყობთ იმ დიდ მწუხარებას, რაც თავს დაგატყდა. თქვენი შეიღო ალექსანდრე ჩხეიძე საბრძოლო სადგომების შესრულების დროს მიმედ დაიჭრა, ამჟამად იმყოფება სამკურნალო ჰოსპიტალში ავსტრიაში. მის შესთავაზეს თბილისის ჰოსპიტალი, უფრო თქვა: მის გაუფრთხილებს ორივე ხელის ამპუტაცია, მარჯვენა თვალი სრულიად არა აქვს, მარცხენი ძალიან ცუდად ხედავს. ახლა მისი სიცოცხლე საფრთხეში აღარ არის. თქვენმა შეიღმა ბრძოლაში გამოიჩინა თავი როგორც მამაცმა მეზღვაურმა, როგორც თავისი ხალხის ღირსეულმა შეიღმა, რისთვისაც მიფარობამ იგი დააჯილდოვა მედლით „მამაცობისათვის“. ღრმა პატივისცემით და თანაგრძობით — კაპიტან-ლეიტენანტი ზოლოტოვი, მეორე სტატიის ზემდგომ გრიგოროვიჩი.“

სად არის ის ხელედი, რომლებიც ხატავდა, წერდა, სადაზობდა, დედის ქალარას ეალერგებოდა და არის ის თვალედი, გატაცებით რომ კითხულობდა, მომავლს რომ გასცქეროდა!..

— არ იყო საჭირო, ამხანაგო კაპიტან-ლეიტენანტო არ ვამბობდი. ცოდვანი არიან! — ეუბნებოდა ოთარი წყენით ზოლოტოვს, როცა უჯანსაღი უთხრა წერილის გაგზავნის ამბავი და მისი შინაარსი.— მკვდარი ვეგონებო... სანამ ჩემს წერილს არ მიიღებენ, არ დაიჯერებენ.

\*\*\*

— დაჯერე აქ, ჩემს ახლოს, კატია, აიღე ქალაქი და ფანქარი... არის? აბა, დაიწყე!

— ვამარჯობათ, ძვირფასო მშობლებო! მე მომიწევს ამჯერად გაცნობოთ თქვენთვის შემზარავი ამბავი, მაგრამ როდემდის გიმართლით ავსტრიაში, ლუისის ფლოტილიაში ბრძოლის დროს დაჯარჯე ორივე ხელი, ორივე თვალი, ჩემი სხეულიდან ნაღმის თითხმეტი მასხვარევი ამოიღეს... ვეღარ ვხედავ, ვეღარ დაგინახავთ, დედი... კატია წერდა ჩხეიძის ნაკარნახევს. „ჰოი, ღღღა! ვინ მოგანებებს ძალას, ეს სტრატეგები წაიკითხო!“ — ფიქრობდა იგი.

— ახლა დაიკვეთ სამკუთხედად და დააწერე მისამართი... დაიკვეთ თბილისი. გლდანის ქუჩა, ოცდამეორე, ჩხეიძის...



### ვეტყვი...

კალენდარს რომ გადაშლის  
სექტემბრის თვის ქარი,  
მაშინ სოფლად, ქალაქში  
რეკავს სკოლის ზარი;

„ნაუ, ნაუ!“ — ესახის  
კოვიას და ნანას...  
მაიატოვეს ვენახი,  
მაიატოვეს ყანა.

თეთრზე თეთრი ბანტები  
ფრიალებენ ცაში...  
ახალთ-ახალ ჩანთებით  
შეკლენ პირველ კლასში.

ნეტავ მათთან ბავშვივით  
მეც შემეძლოს ლხენა —  
გაკვხნა გოგებაშვილის  
ტპილი დღეაენა.

ნინო ასწავლებელი  
რომ შემოვა ნელა —  
ნეტავ ფეხზე აღვომა  
მე დაგაწრო ყველას.

ორ თითს წყნარად ავმართავ  
ძველებური რიდიით...  
შემდეგ, როცა დაუასთან  
გამიძახებს იგი, —

ვეტყვი: შენ შემყვარე  
საქართველოს ნისლიც,  
შემდეგ გულით ვატარე  
სიყვარული მისი;

ვეტყვი: ჩემი ბავშვობა  
გაფრენილა მერცხლად,  
სკოლის წინ თამაშობა  
მოგონებდა მექცა.

ვეტყვი: ახლა მასწავლე, —  
როგორ გავკელო წლები,  
რომ მეც შენებრ სვეტაკად  
გამითვრდეს თმები.

ზურაბ კახიანიძე

...მთელი ის ღამე ფრონტზე სიწყნარე იყო, საოცარი სიწყნარე. ოთარს რომ ამ სიწყნარის შეგრძნობა შესძლებოდა, თავისი გამოცდილებით, რომელიც პირველად მიზან პეტროვისაგან გაიზიარა დნსტრის ფორჩხების წინაღულს, ამ სიწყნარეს იგი დიდი შეტყვის წინამორბედად ჩათვლიდა.

მაგრამ ეს უტახებლად ატეხილი გუგუნი, ადამიანების გამბულ „პრაში“ შერწყმული და ასე მძლავრად შემოქრილი აუღატის ღია სარკმელში, მისის ამ თბილ დამგს, შეუძლებელი იყო ოთარს არ შეეგრძნო, და მან იცხობა:

— შეტყეა?

ეს იყო მართლაც უქანასკნელი შეტყეა მშვიდობისა ომზე.

— კაბიტუღაცია!.. გამარჯვება!.. — ყვიროდნენ, ღრიალებდნენ სიხარულისაგან გონდაკარგული ადამიანები და ჰაერში ისროდნენ ქულებს.

ეს იყო რვა მისის შუღამეს.

მეორე დღეს ქვეყანა ზეიმობდა ნანატრ გამარჯვებას, და ჰქუხდა ქვეყნად ხალხისადმი მიმართვის სიტყვები,

\* \* \*

ვენისა და ბრატისლავის შემდეგ ოთარი ოდესის ჰოსპიტალში იწვა. მკურნალობდა აკადემიკოს ფილატოვთან, მის თანაშემწესთან — პროფესორ კალფასთან. იყო იმედები, მარჯვენი თვალში ოცი პროცენტი მზეღველობა მაინც აღუდგინათ. ეს იმედი ახლაც არ არის დაკარგული. იგი ამისათვის ხანგრძლივ და შეუპოვარ მკურნალობას ვადის.

პირველად იგი ოდესის ჰოსპიტლიდან გამოწერა. მოეგზავრებოდა შინ. გაყოლიდა დაუნიშნეს მშობლიურ ოდესაში მშვიდობით დაბრუნებული, ოთარის ფრონტული მეგობარი, ვისთანაც ერთად ბრძოლაში დივიზია, — გრიგოროვიჩი.

...მატარებლიდან ჩამოსულნი თბილისის ვაგზის მოედანზე რომ გამოვიდნენ, გრიგოროვიჩი შედგა.

— რად გაეჩრდიშ? — ჰკითხა ოთარმა.

— მანქანა, ლონია, ჩავსხდეთ. მე ხომ გზა არ ვიცი!

— უპასუხა გრიგოროვიჩმა.

— არ გინდა! — და წავიდა ოთარი წინ, ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით. ოდნავ წინ გაეშვირა პროტეზის ხელები, თითქოს მით მიიკვლევს ნაცნობ გზასო, და მიდიოდა როგორც თვალსილუღი, შეუცდომლად. უკან ფრთხილად, მხარზე ხელის ოდნავ შეხებით მიჰყვებოდა ფრონტული მეგობარი.

— გრიგოროვიჩ — სიხარულით შესძახა ოთარმა, თითქოს ხელახლა მოველენია ამ ქვეყანასო, — მე გულის შექი მინათებებს გზას, მე ვებღავ ჩემს თბილისს.

ბრუნდებოდა შინ ომგადახდილი დედისერთა.

რა ელოდათ მშობლებს, რა ელოდა ღიას მისი ხილივით? მწყობრება?! სიხარული?!

ორივე ერთად!

დასასრულში



ფოტო  
 კ. კოვალიოვისა

უმეგობროდ სიცოცხლე ძნელია, არტეკში უმეგობროდ ყოფნა კი შეუძლებელია.

არტეკში არის სპორტული კლუბი «ოლიმპია». ამ კლუბის შუაგულში სამი დროშა აღმართული—წითელი, ცისფერი და თეთრი. წითელი დროშა შრომის სიმბოლოა, ცისფერი—სპორტის, თეთრად აფრიალებული დროშა კი მეგობრობის სიმბოლოა.

არტეკში ჩამოსვლის პირველსავე დღეს ყოველი არტეკელი პიონერი ამ დროშებთან მიდის და ფიცს სდებს უყვარდეს შრომა, დაეუფლოს სპორტს და იყოს მეგობრობის ერთგული. არტეკელებს საერთო საქმე და საინტერესო საბანაკო ცხოვრება ამეგობრებთ.

არტეკში ერთი კარგი ტრადიციაა: ჯერ ყოველ რგოლში, შემდეგ ყოველ რაზმში და ბოლოს მთელს რაზმებულში ტარდება გაცნობის შეკრება. ეს შეკრება თამაშის სახის არის და ისე მიმდინარეობს, რომ ხუთასი პიონერიც რომ ესწრებოდეს, ხუთასივეს სახელი და გვარი ითქმება.



გია კვაპანტრაძემ და ცხცინო იმედაძემ პირველ დღეებზე ხსენებულს დოღზე სამწუბრო მელონის დაკვრა.



ბევრი რამ განსაკუთრებით ტკაცებს პიონერების თვალსა და გულს არტეკში, მაგრამ უველადეს-მაინც ზღვა ურჩევნიათ.

# მეგობრობის კენია!



მაგრამ ასეც ხდება, რომ ამ შეკრებაზე უკვე დაახლოებული და დამეგობრებული მოდიან პიონერები. თბილისელმა იამზე ჭიჭინაძემ ჩასვლისთანავე გაიცნო უკრაინელი გოგონა ვალია ოლგუშევიჩი. იამზემ სადილობი-

რ. პერკინა  
6. ჟაილოძე



გულნარა ურუშაძემ ყაყაჩოების დიდი თაიგული მოიტანა და თანატოლებს უნაწილებს.

გენეის ციხე-სიმაგრეზე ამსვლელ მოლაშქრეთა მეწინავე თამარ გელაშვილი იყო.


დან დაბრუნებულ ვალიას ყაყაჩოების თაიგული დაახვედრა, შემდეგ ერთად წავიდნენ ყაყაჩოების საკრეფოდ, ზღვაზეც ერთად დადიოდნენ საბანაოდ, ერთად აგროვებდნენ კენჭებს. გაცნობის შეკრებაზე ვალია და იამზე უკვე შესანიშნავად იცნობდნენ ერთმანეთს.

არტიკულების ერთიან მეგობრულ ოჯახს რომ ეცნობით, რუსსა და ფრანგს, პოლონელსა და შვედს, გერმანელსა და უნგრელს ხელიხელ გადახვეულებს რომ ხედავთ, გიხარიათ, გრძნობთ, რომ მათთან შედინებუაა, მათთან მეგობრობა და მშვიდობაა.

არტიკეში ნახავთ პოლონელსა და შვედს, რუმინელსა და დანიელს, ჩეხოსლოვაკიელსა და უნგრელს, ალბანელსა და ჩინელს, გერმანელსა და ფრანგს. არტიკულებთან არ არსებობს სიტყვა ჩემი და შენი—იქ ყველა ხალხითა და სიამაყით, ამოზბ: ჩენია!



ნონა დუმბაძე, პეტრე კოკოზიძე და ალიკ დემუროვი არტიკეში სხვადასხვა რაზმში მოხვდნენ, მაგრამ ისინი ხშირად არიან ერთად.



# ფერადი ჭურჭელი

ბებენ ბარაკველიძე

ნახ. რ. ცუცქერიძისა

(მ. ო. თ. ს. რ. ო. ბ. ა.)

თამაში დაიწყო ჩვეულებრივ: ზურგჩანთები ერთად დააწყვეს, ხალათები გაიხადეს, დარაჯად კიკნა მიტო დააყენეს, მართლაც კიკნა, გამხლარი და ტანმორჩილი ბიჭი. მერე ბურთი მოედნის შუაგულში დაადგეს, ახმას კოკამ ზედ ფეხი შეადგა, დოინჯი შემოიყარა, ჭუჭყიან მაისურში გახვეული მკერდი გაღმთაგლო და სწრაფად მიაჭყვილა ფანჯლოს:

— არჩევანი მე!

ფანჯლო, ჩახსკვნილი და სოქოსავით გატარეული ბიჭი, ბლო იყო. მან უმწყოლ დაახამხამა თვალბი— არჩევანი მოსწრებაზეა და აბა, კოკასთან რაღას გახლემოდა!—ბელი ჩაიქინა და წაბლუკუნა:

— აარ...ადანი მე!

კოკამ ბიჭებს გადახედა. დაძაბული სინჯემე ჩამოვარდა. ახმას კოკასთან თამაში ძნელი იყო. მოწინააღმდეგეს მუჯღუგუნები და ფეხების დამტკრება არ აცდებოდა, მომხრეს—ტიქული და საყვედურები. მხოლოდ გოგი, ჩვენი ბიჭების პირველი მეკარე, ხტოდა, ბუქნავდა და წინასწარ ეშვადებოდა „მკვლარი ბურთების“ სახლებად. კოკამ სწორედ მას დადგა თვალი და ერთბაშად მოსწყვიტა:

— ესა მე!

გოგი სწრაფად ამოუდგა გვერდში კოკას და ერთბაშეთს მხრებზე ხელი გადახვიეს. მეორე მეკარე, ბიჭია, თავისთავად უკვე ფანჯლოს იყო, ამიტომ ფანჯლომ თავისი ფანდებით განთქმული ლეო ამოირჩია და სამაგიერო გადაუხადა ახმას კოკას. ლეომ და ფანჯლომ ხელი ხელს დაპკრეს და ახლა ესენი გადახვიდნენ ერთმანეთს. არჩევან-არადანით გაიყვეს ოთარი და სოსო, გური და ვახტანგი, კოტე და მამია. ხელისხელგადსვეული, ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი გუნდი. უქინჭულოდ მაინც არ მოჩრა. როგორღაც კოკამ ლეო გადაიბირა. ფანჯლომ არ დათმო. კოკა ხელმებს იქნევდა, ხინწინა-ნად გაპყვიროდა, მაგრამ ფანჯლო დინჯად და ჯიუტად იცავდა თავის არადანს. ბოლოს მორიგდნენ. ლეოს შერცხვა და ისევ თავის გუნდში დარჩა. დანაჩრენები უდავიდარაბოდ გაიყვეს და ბურთი ვათამაშდა.

კიკნა მიტო არავინ აირჩია. არც კი გახსენებიათ. დაღონებული იჯდა იგი ზურგჩანთებზე, ხუჭუჭა თავი გამხლარ მუხლგბში ჩაეყო და რაღაც უიმედო იმედო ელოდა. აი, ექნებ ფანჯლო, გულკეთილ ფანჯლოს მაინც გაახსენდეს... ექნებ კოკას „წამოფაროს“... თავს დადებს მაშინ მიტო, თავს მოიკლავს და აჩვენებს მკათ, როგორ უნდა თამაში. სულ რაღაც ორ-ხანჯერი ათამაშებ,

ისე მაინც მაინც უშნოდ აწვდიდნენ ბურთებს. თუ ბურთი გავიძლოდა, მიტოს დააბრალებდნენ. რა, სხვაზე ნაკლებ დარბობდა, სხვაზე ნაკლებ ცდილობდა? არა, ეს საკმე? რამ ჰქონოთო, ამხანაგები არიან. თუ ვინმე დაკვლავდა, ან დაემტკვრა, მხოლოდ მაშინ გახსენდებათ მიტო. ზღაპრებს ხომ კარგად ამბობობინებენ ხოლმე... წაქითხულ წიგნებს ხომ კარგად მოაყოლებინებენ ხოლმე... მომყევი, რაც ვინდა, ზოგი მართალი, ზოგი ტყუილი, რაც წაგკითხავს და არ წაგკითხავს. რა იციან, რომ ნახევარს თვითონ იგონებს. მისჩერებიან პირდაღებულნი...

არა, ერთი შეხედეთ, ახმახ კოკამ რა ბურთი გააფუქა! ათი მეტრით მაინც ააცილა კარს, მაგრამ ვითომც აქ არაფერიაო. მიტო რომ ყოფილიყო, გინებით აიკლებდა. ახა ამ ბურთის გაფუქება იქნებოდა. ერთი იქ ყოფილიყო. მამ, ვახტანგზე უკეთესად ველარ თამაშობს? სოსოს მაინც აღარა სჯობს? მამ, მაგათ ხამართალი აქვთ?..

— კოკა, კოკა, — ველარ მოითმინა მიტომ, — მათამაშე, რა!..

— დაეგდე! — შეუღირინა კოკამ, — ზღაპრის გულა მაკლია, რალა...

— ახმახ, ახმახ! — მიაძახა მიტომ და ყოველ შემთხვევისათვის მიედნის ბოლოს ფანჯრებჩაღწეულ, გაუქმებულ ტრამევის ვაგონს ამოეფარა. მაგრამ ახმახ კოკას მისთვის არ ეცალა: დღომ მოხდენილი ფანდით გვერდი აუარა სოსოს, ვახტანგს, ბოლოს თვითონ კოკასაც, ბურთი მარტოდ დაჩრტილ ფანჯრებს. მიაწოდა და გოგის თავგანწირული ნახტომი ამათ გამოდგა. კოკა აჯიჯღინდა, ლამის ტანზე შემოხიხია, არ ითვლებოდა, საჯარო იყო, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ბურთი ცვლავ მოედნის შუაგულში დადეს. წინათ აქ ტრამევის პარკი იყო. რამდენიმე დაწინებულნი, დაფარულალბებულნი ვაგონს ახლაც იდგა. ჩაუანგული ლიანდაგი თანდათან მიწით და ბალახით დაიფარა. მაღალი ჯუბანით შემოკავებულ მყუდრო პარკი ჩვენი უბნის ბიჭების საყვარელი ადგილი გახდა.

მიტო კვლავ ზურგჩანთებზე ჩამოჯდა. საბოლოოდ გულგატეხილი იყო და ახლა იმას ნატრობდა, ნეტავი ახმახ კოკას კიდევ გაუტანდნენ ბურთსო. ისე მოსწონს თავი, გეგონება პაიჭამე იყო. ახმახ კოკა კი შეუთოვრად მიიწევდა წინ, გზად დახმადურებს ცელავდა და სწორედ მაშინ, როცა ეველას ეგონა, რომ მეკარეთან გავარდნილ ვახტანგს ჩააწვდიდა, ძლიერად დაარტყა. ბიჭია ძირს დავარდა და, წების გულისთვის, ერთ ხანს გაუნძრევლად ეგდო. მერე კოჭლობით წამოდგა, ბურთი მოქებნა და მოედანზე დააბრუნა.

— შენ რა, არ გათამაშებენ? — მოესმა უცბად კიკა მიტოს. მის წინ ნინიკო იდგა. ცალ ხელში პური და ყველი ეჭირა, მეორეში გრძელ ძაფზე ასხმული ფერადი ბუშტები. ბუშტები ნელა ირხეოდნენ და ნაირფერად ზიშზიშებდნენ მწვენი... ნინიკო მეორე ქუჩაზე ცხოვრობდა, მასზე ორი კლასით წინ იყო და ერთხელ

მიტომ თავისი თვალით ნახა, როგორ შეეღებოდა ნინიკომ ცხვირი ახმახ კოკას, რომელმაც გოგონებს უკარგურად ჩასაბარებელი კინეულობის წართმევა მოუწოდოდა.

ახმახ კოკა მას შემდეგ სულ იმუტრებოდა, ბიჭებს კი ნინიკოს, ცილა არ იყო, ეშინოდათ.

კიკა მიტომ ტყუილი ვერ გახედა.

— მო, არ მათამაშებენ...

იგი ცნობისმყვარებოთ ათვლიერებდა კანკმალად, მწვეზე გარუჯულ გოგოს, რომელსაც ორი პატარა ნაწივი გარდღვარდმო გაეპრისხა, გემრიელად ილუქებოდა და. ვითომც აქ არაფერიაო, ახსენიად გაპყურებდა თამაშს.

— უპ, შე უღირსი ხარა, შენა! — მიაძახა მან ბიჭას, — ბურთი უფის ბოროტ ჩაგვივარდა!



თითქოს ამ შეძახილმა იმოქმედა, ბიჭია თითებით მიწვდა ახმახ კოკას მიერ ძლიერად დარტყმულ ბურთს და მოედანზე დააბრუნა. ნინიკომ ტაში შემოჰკრა და მის თავზე უფრო ნაირფერად აწიშწიშდნენ ფერადი ბუშტები.

ბიჭები ერთმანეთს ეკვეთნენ. ლეო მოედანს „ხა-ზავადა“, კოკა ჯიუტად მიიწვდოდა კარისაკენ, ზღაგვი მაშაძე კი გამოცდებულად, მხოლოდ ფანჯო იყო კვლავინდებურად დინჯი, აურქარებლად აწვდილა ბურთს, მშვიდად გადმოადა თავისუფალ ადგილზე და მუდამ შოშქვეშ ჰყავდა განთქმული მექარე გოგი. უკვე ორით ორი იყო... ერთი ბურთი ნინიკოს მოსვლის შემდეგ გაიტანეს, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ კოკას ჩვეულებრიბამერ ტინჯული არ აუტეხია, მხოლოდ გამწარებით გააფურთხა გვერტზე.

— ამა, გამომართვი!— მოუბრუნდა ნინიკო კიკნა მიტის და სანამ მიტო რამეს მოიფიქრებდა, მის ხელში ბილაჩი აჩნდა, —ჰამე, ნუ გრტყვი.

კიკნა მიტო მოუხუჭული იჯდა. ო, როგორ უნდოდა ახლა ყოფილიყო მოქნილ და მოხერხებულ ლეოს ადგილზე, ზუსტად ერტყა კარხე ფანჯოსავით, ყოფილიყო ავი, ჯიუტი, თავდაუზოგველი, როგორც კოკა... როგორ უნდოდა ერთხელ მაინც დაემსახურებინა ამ ნაწნავებგაბარებელი, გამბედავი და კეთილ გოგონას ტაში, ქება, აღტაცება.

ძალიან მარტო, ძალიან დაჩაგრულად გრძნობდა თავს ამ ქვეყანაზე კიკნა მიტო.

— ზღაპრის გულა, თამაში გინდა?—თითქოს წაიჩურჩულეს, ნიაგვივით წაიჩურჩულეს ფერადმა ბუშტებმა.

— მინდა, ძალიან მინდა...—ჩურჩულითვე უპასუხა კიკნა მიტომ.

— კოკა, აბა ერთი აქ მოდი.—ნუთუ მართალია ეს ხმა? კიკნა მიტო შეერსა. ბიჭებმა ბურთი გააჩერეს და ერთმანეთს გადახედეს. ახმახ კოკამ რაღაც წაბუზღუნა და წელათრეული, შმოშენით გამოემართა. ნინიკომ ფერადი ბუშტები ჰაერში დაატრიალა, მერე გამოწვევდა შეაჩერდა ახმახ კოკას და მიტოზე ანიშნა:

— ამ ბიჭს კარგო არ ათამაშებთ?

— მე რა... მე ისე... მე რა შენადგლებ.

ნინიკომ ტურები აიბუზა, ჩაიცინა და ახლა სისოს გასძახა:

— შენ დაისვენე, ახლა ამან ითამაშოს.— დაბნეულ მითოს ზურგში ხელი წაჰკრა და წაიჩურჩულა:—მიდი, ნუ გეშინია. მე აქა ვარ.

მიტომ ახმახ კოკას გახედა. კოკამ გააფურთხა, ზურგი იბრუნა და მოედანისკენ გაემართა. მიტო გაუბედავად გაჰყვა. —მიდი, ნუ გეშინია. მე აქა ვარ!—კვლავ მოსება ზურგს უკან.

არა, არ ეშინია კიკნა მიტოს. იქ ახლა მეგობარია, იქ ნინიკოა. ახლა ნახოს ნინიკომ რა შესძლებია ზღაპრის გულს. ანც ასე საქმე, კოკას რომ ჰგონია. კოკა, აბა ჩქარა, გენაცვალე, ბურთი მომაწოდე! შო, ეგრე... ვახო, რას უტდი აქეთ ჩქარა, ჩქარა, თორემ გვიან იქნება! „მიდი, მე აქა ვარ!“ ოჰო, ესეც შენი!

ლეომ პირი დააღო, ფანჯო აქეთ-იქით აწვდებდა, დინჯი ფანჯო... სადღაც კოკას აწითლებულმა, გაოფლილმა სახემ გაიღევა. „მიდი, ნუ გეშინია!“ წინ მხოლოდ ბიჭია... ცოტაც ეძღვევ, ცოტა! ბიჭია დაძაბული, თვალებდაწურული ელოდებდა. ცოტა, სულ ცოტა. „მიდი, ნუ გეშინია!“ დარტყმა! არის მიტო ხტის, კოკას ზურგზე ანიშნა. მას ახლა ბურთი უნდა,







# ბეჭედი

## ნიჟოჩი



მხოლოდ ბურთი. შორს ნინიო ღვას, ტაშს სცემს და ჰაერში ირწყვია, ზომიშებნენ ფერადი ბუშტები. არა, ბუშტები კი არა, — ბურთები, რომელიც მიტომ უნდა გაიტანოს, აი, იმ კარში აი, იქ, საცა ბიჭია ღვას და უშმაკივით აელვებს თურ კბილებს. აბა, ვახო, აბა კოკა! გენაცვალეთ, ბიჭებო! ეჰ, მანდ რომ ჩაჭერი, აქეთ ვერ გაღმომიქვ? აქ ვარ! ეგრე... აბა ახლა დამიდექით! არ გაგივიდა, განა ლეო? მგონი რაღაც დაიბენი, ფანჯო? რა გქნა, შენთან მინდოდა თამაში, მაგრამ ახლა ხომ არ ვუღალატებ გუნდს? აქ ვარ... ასე. მე მარცხნიდან შევალ, აი, აქედან. კოკა, ბურთს გიტოვებ, ცენტრში მომაწოდე. ეგრე! ბიჭიას ბურთი ხელიდან გაუვარდა. ჩემია! არის! „ნუ გეშინია, მე აქა ვარ.“ ერთიც კიდევ, ხანამ ცხელია. ბურთი, ჩქარა ბურთი. შორიდან, ახლა შორიდან ნახონ, რა დარტყმაა. სირბილით, სირბილით! „ნუ გეშინია, მე აქა ვარ.“ დარტყმა!

მწვანე ტყვიელმა მთელს ტაშში დაჰკრა კიკა მითოს. შემდეგ თითქოს ჰაერში აიტაცეს. მიძიმდ, მიძიმდ გაახილა ქუთუთოები და პირველად ორი, გაპრეხილი ნაწნავი დაინახა. აღერსით გაუღიმეს შავმა, ბრილია თვალბემა. ნაწნავებს ზემოთ ფერადი ბუშტები ირჩხილდნენ. სწრაფად წაშოჯდა. გადატყული ცერიდან სიხხლი სდიოდა.

— არაფერია, გავფლისი. აი, ახლავე შეგიხვევ— ნინიო დაფატურდა, ნაწნავებიდან ბაფთა მიიძრო და ცერზე შემოახვია.

ფანჯო ჯიბეებში ხელმეჩაწყოლი, დაფიქრებული იდგა. ლეო ცალი ფეხით ბურთს კენწლავდა და გაურკვეველად ილიმებოდა.

ახმახ კოკამ გულიანად გააფურთხა და ჩაიღრინა: — ზღაპრის გულა! ხომ ვთქვა მთელ თამაშს ჩავფელავებებს-მეთქი! რა გიფიფით გარბოდა, რეებს ბოდავდა...

ფანჯო დინჯად მიუახლოვდა ახმახ კოკას, უეცრად საკინძეში სწვდა და კბილებში გამოსცრა:

— ენა დააყენე, თორემ!...—მერე ხელი უშვა აქოჩრილ, თვალმედაბარციელ კოკას და კიკა მითოს მიუბრუნდა:

— გული არ გაიტებო, კიკაჯან, ფეხი რომ მოგიჩრება ჩემს გუნდში გათამაშებ.

მაშ უველაფერი ზღაპარი იყო, კარგი ზღაპარი... აი, ისეთი, თვითონ რომ იგონებდა სხვებისთვის. ზღაპარი გაჰქრა, მაგრამ დარჩნენ მეგობრები: ნინიო, ფანჯო, ლეო...

კიკა მითოს რაღაც მოაწვა ყელთან, ნელ-ნელა აევსო თვალები, მერე გაფერმკრთალდნენ ბიჭები, ნისლით დაღინდა მოლომარი ნინიოც მხოლოდ ბუშტები, ფერადი ბუშტები ზომიშებნენ თვალისმომპრებლად, მომხიბლველად სადღაც მალდა, სულ მალდა.

გაკეთილზე ტომ სმიტი მასწავლებელმა გამოიძახა და ასეთი შეკითხვა მისცა:

— დამისაბეღე ხუთი რამ, რომელიც რძეს შეიცავს.

— კარაქი, ყველი, ნაყინი და ორი ძროხა.—უპასუხა ტომ სმიტმა.

— ჯონ,—მიმართა დედამ,—ღამდამოხით მეტს ნულარ შესუბამ, რადგან მაძლარ მუცელზე ძილი საშინია.

— ნუ დარღობ, დედა, მე შემძლია ზურგზე დაწყოლილმა დავიძინო.

— ტომ, რომ იცოდე რა საშინლად მტკიცია კბილი!—შეჩივლა ახმახაგს ვილიმ.

— ჩემი რომ იყოს, ამოვიღებდი.—ურჩია ტომმა.

— მეც ასე მოვიქცეოდი, შენი რომ იყოს.—უპასუხა ვილიმ.

თარგმნა დ. ედიშერაშვილმა



# განმარტული

## ნიჟოჩი

— როდის არის ვაშლის ძოსხავლის აღების საუკეთესო დრო?

— როცა მახლობლად არავინ არის და ძალიც ბაწრითაა დაბმული.

პეტრე სკოლიდან დაბრუნდა და მამას ამაყად განუცხადა:

მე ერთადერთმა შევეძლი მასწავლებლის შეკითხვზე პასუხის გაცემა!


— მაინც რა იკითხა მასწავლებელმა?—კითხა მამამ.

— რა იკითხა და,—ვინ დაამხვებია სკოლის კარების მიწათ?

თარგმნა გრ. შენგელიამ



სკოლის სამუშაო ბუნების 77-ე სკოლის ბავშვები შეესწავლნენ ტანის დარღვევას.



მეფი კონსტანტინე კონი მღვდელის მიერ შეკრებილი და მისი მოვლით. სკოლის ბავშვებისათვის სასტუმრო.





ეროვნული თეატრის მოსწავლეები.



სკოლის ბავშვები სახლიდან შემოსილად, ახრე დახრე წარმოადგინა. ის ამ მანქანის იკავებდნენ მესამეული კარგული. ხეგრამ წინაშე შეკრებილი. ღვთის კრება და შეკრებილი ცხოველი მანქანის დახრე დახრე. ახლა ამ მანქანიდან 77-ე სკოლის ბავშვები გეგრაფიკულად ხის დახრეები ვიდეო და ამ რეგენ სახელმწიფოს რაზმების მეფე შეკრებილი ვიდეო, წილადის სახელმწიფოს დახრე მანქანის ვიდეოს გეგრაფიკულად ვიდეო.

ვიდეოტექნიკის ტექნიკა, ვიდეოს რაზმ ვიდეოები. მეფე რეგენებში ვიდეო თილისს 77-ე სკოლის რეგენი, სახელმწიფო და სახელმწიფო სახელმწიფოები, ნორმალური სახელმწიფო და ნორმალური სახელმწიფოები, ვიდეო-მეგრაფიკულად, კალაბრისის და რეგენების მიღწეები, მეფეების სახელმწიფო და მეტეოროლოგიური სახელმწიფო. — მეფეების რეგენების და სახელმწიფოს მიმდინარე-მისწიფეთა ცხოვრება 77-ე სკოლის ტრეგენი. რეგენების სამუშაო ვიდეო-ტექნიკა მიმდინარე-მისწიფეთა ცხოვრება. რეგენების სამუშაო ვიდეო-ტექნიკა მიმდინარე-მისწიფეთა ცხოვრება. რეგენების სამუშაო ვიდეო-ტექნიკა მიმდინარე-მისწიფეთა ცხოვრება.



მანქანის ბავშვები და მისი მოვლით. სკოლის ბავშვებისათვის სასტუმრო.

სკოლის ბავშვები და მისი მოვლით. სკოლის ბავშვებისათვის სასტუმრო.



მისი მოვლით. სკოლის ბავშვებისათვის სასტუმრო.



ვიდეო-ტექნიკა მიმდინარე-მისწიფეთა ცხოვრება. რეგენების სამუშაო ვიდეო-ტექნიკა მიმდინარე-მისწიფეთა ცხოვრება.



# ჩვენი სკოლა

ტექნიკა მიმდინარე-მისწიფეთა ცხოვრება.

ვიდეო-ტექნიკა მიმდინარე-მისწიფეთა ცხოვრება.



# გაპარვა

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

გოლრაძი ჭივიშილი



რაც წამოვიზარდე, ყველაფერს სულ სხვაგვარად, სულ სხვანაირად ვუცქერი. რატომღაც ახლა ამხანაგებმსაც უფრო ვავიროდები, მაინტერესებს მათი ხასიათები, საუბრები, თავდასასვლები.

ბევრი აქამდე განუცდელი და უნახავი რამ აღმოვაჩინე, ბევრის ხასიათის ამოცნობაც შეეძლო. გამოგარტყდებით, რომ ხანდახან თავი გულთმისანაც კი მგონია. მაგრამ, თურმე, ჯერ სადა ხარ!.. დღეს თუ ვინმეზე იფიქრე — ცოტა მშინაა, ან ნახევრად მატყუარაა. ერთი-ორი დღის, ან ერთი კვირის შემდეგ დარწმუნდები, რომ ცოტა — ბევრად, ნახევარი — მთელად გადაიქცევა, და პირიქით.

და ეს აზრი, შეიძლება ასე მალე არ ამცხადებოდა, რომ ამ ზაფხულს პიოჩერთა ბანაკში არ წაესულიყავი... მალე სერზე იდგა ბანაკის შერობა. შერობა იყო ცისფერი და ორსართულიანი.

ქვევით ბიჭები ვიყავით, ზევით — გოგონები.

ცამეტი ეწერა ჩვენს ოთახს. ოთახში იდგა ექვსი საწოლი: ჩემი, ბაღრის, გვიის, ნოღარის, გურამისა და გიასი.

მოკლედ, ეს იყო ფრენბურთელთა ერთი გუნდი...

გია გვეჯობდა ყველას. მარტო ფრენბურთის თამაშში კი არა, კალათბურთშიც, ფეხბურთშიც! წარმოიდგინეთ, ბაღროს ტყორცნით მომქონდა თავი და, იმ დღეს რომ გამეჯობრა, ათი მეტრით ჩემზე შორს გადააფრინა.

რას იზამ, ასეთია გია! ჰქონდა მალალი. მოკნილი ტანი და ქოჩორიც შუბლზე ჩამორკალული. ლაპარაკობდა დნეჯად, ცოტ-ცოტას და მოკლედ.

იღიმებოდა დიდი კაცივით.

თუ რაგეს ჰკითხავდნენ, ხშირად სიტყვის მაგიერ თავს დაუქნევდა.

ბრახდებოდა ასში ერთხელ, მაგრამ მოწინააღმდეგეს ეტყოდა მხოლოდ ამას: შენ რომ მიდიოდი, მე მაშინ მოვდიოდიო, და გაათავებდა!..

ასეთია გია!..

უყვარდა ყველას. მეც ძალიან პატივს ვცემდი. რა ვუყოთ, თუ ცოტა ამაყი იყო და თავმდაბლობა დალატობდა. ცოტას რაღაც ეშვევლება, ბევრად ნუ გადაიქცევა-მეთქი, ვფიქრობდი...

ის ხშირად ამრეზით უცქეროდა ბანაკში ყველაფერს, თითქოს უფრო სხვა რაღაც სურდა, თითქოს იგი იყო სულ სხვა, და ამბობდა კიდევ, დედაჩემის ბრაღია. აორემ ახლა მოსკოვში უნდა ვყოფილიყავიო.

ელოდა დედას. შეთვლილი მაქვს ჩამოვა და უნდა წავიდეთო.

მაგრამ უყვარდა ყველას და არ წახვიდეთო, შევეწებოდნენ.

ასე იყო თუ ისე, გადიოდა დღეები, ვთამაშობდით. ვერთობოდით, ვიცვნიდით...

იმ დღეს ფრენბურთის ვთამაშობდით რაზმეულის პირველობაზე. ყველაფერი მიდიოდა ჩვეულნაირად. მოედნის გარშემო ისხდნენ და იდგნენ ჩემი მომხრეები, მათი მომხრეები...

და ისმოდა ყვირილი! სტვენა. ეხ და ოხ!..

მე ვგრძნობდი და მესმოდა კიდევ, რომ ყველაზე მეტად ჩემი დაცო მზია განიცდიდა. გვამხნევებდა. გვითანაგრძნობდა...

გია ბურთი გაათუჯა... — ეხ, რა ქნა!..

ეს ჩემი დაცოა — ეწყინა გამომ რომ ბურთი გაათუჯა, საშინლად ეწყინა. მაგრამ გამომ დამცინავად გადახე-



და, შეუბღირა, რალაც წაიბურტყუნა.

მალე ბუთი ნელა, სულ ნელა დაეშვა ისევ გიასკენ. თითის დაკვრაც საკმარისი იყო. გიამ კი მუშტო შემოკრა და...

მზიამ გასისხლიანებულ ცხვირზე ხელები აიფარა...

ატყდა ჩოჩქოლი!  
თამაში ჩაიშალა.



რა საწყენია, შემთხვევით მოუხვდაო.

პიი, ვაეკაცობს ჩემი დაიკო! ჰოდა, გაჩერდეს მაშინ, რალას იპარება!

ჩაშლილი თამაში მეორე დღეს ნასაუზმევს უნდა განახლებულიყო.

გია არ ჩანს!

იგვიანებს!

ჩქარა გია...

სცხვენია?

ალბათ სცხვენია... ჰე, ჰე, აბა რა ეგონა!

მგონი არც საუზმეზე გამოჩენილა.

— ჰო, არ ჩანდა! — თქვა მზიამ.

— შიმშილობს ბივი — გაიკრიკვა ვილიცამ.

ეზო კუნჭულ-კუნჭულ მოვიარეთ, ვკითხეთ ერთ ამხანაგს, მეორეს, მესამეს, მეხუთეს, არც ჩვენი გვიანხავსო, — გაშალეს ხელები:

ბოლოს ხელმძღვანელთან მივირბინეთ...

— წავიდა! დედას გაჰყავა! — გვითხრა წარბშეკმუხვნილმა ხელმძღვანელმა...

— ა! — იყვირა ვილიცამ.

ეზოში წუთში ვაფარდა ხმა...

— გია წავიდაა...

— გია წასულია...

— რომელი გია?

— დიდი გია!

— ფეხბურთელი, კალათბურთელი, ფრენბურთელი გია!

წავიდა!

კი მაგრამ, ასე?

— არც დაგვეშვდილობა.

რა სინდისია?

ბიჭებს ჩაუფარე. ოთხივე ცვირა.

ჩამოშვებული იჯდა კიბეზე.

— წავიდა? — მაინც ვკითხულობ?

— ჰოო...

— როგორ წავიდა!

თავს ხრიან ბიჭები.

— დაეწვიდობათ?

დახრილი თავები უარის ნიშნად მძიმედ შეირბნენ.

— გიამ ფანქარი მარუქა! — გვიახლოვდება პატარა მერაბი და იკრიკება.

ხელში მსხვილი, წითელი ფანქარი უჭირავს.

ყველანი როგორღაც გულისტივლით მივცქერდით ფანქარს.

... აკი ვამბობდი, დღეს თუ ვინმეზე იფიქრე ცოტა შშიშარა ან ნახევრადმატყუარაა, მალე დარწმუნდები, რომ ცოტა — ბევრად, ნახევარი კი მთელიად გადაიქცევა, და პირიქით... სჯობია იყოს პირიქით!

გიას ზოგიერთებმა უკმაყოფილოდ შეხედეს, ზოგიერთებმა მხარიც დაუჭირეს, მე აღარ გავიქაჩე, რადგან საღამოს მოველაპარაკებო-მეთქი, გადაეწვიტე. ჩვენი ბიჭები კი მისდგნენ, იდავეს, ივიკუინეს, შალეს და შალეს ხელები, ხელმძღვანელიც გაბრაზდა. საკმე ცუდად წავიდოდა, რომ თვითონ მზიას არ დაეწყო მტკიცება, შემთხვევით მოუხვდაო...

მე კი გვრძნობდი, დავინახე კიდეც, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ რაკი მზიას ასე სურდა, რალას ვიზამდი. მაინც, საოცარი, მას რატომ სტიროს მზია!

ეტკინა?

არაო, გაიძახის!

ეწყინა?



### რა ძალის დარტყმა აქვს მოკრივეს?

ვპასუხობთ თერჯოლის რაიონის  
იპირის სკოლის პოინერებს.

ყველაზე ძლიერ ადამიანსაც კი, რომელსაც კრივში არ უმეცადინია, გაცოლებით სუსტი დარტყმა აქვს, ვიდრე მოკრივეს.

ადამიანი, რომელმაც კრივი არ იცის, დარტყმას მხოლოდ ხელის ძალით, მოკნულად მკლავის ძალით ანხორციელებს, მოკრივე კი ასე არ იქცევა.

მოკრივე დარტყმას მთელი ძალის მანით, ხელის, ფეხების, ტანის კუნთების ძალით ახდენს. ამასთან, მოკრივის დარტყმა უდიდესი სისწრაფითა და სიუსუსტით გამოირჩევა.

მეცნიერებმა ზუსტად გაზომეს მოკრივის დარტყმის ძალა. ტუვის ბალიში სპეციალურ ზამზარაზე მიაკრეს. დარტყმისას ზამზარა იკუმშება და მოძრაობაში მოჰყავს ისარი. ამ დღით გათიარკვა, რომ მოკ-



რივის დარტყმა შეიძლება 500 კილოგრამამდე ძალიან იყოს.

აქ აღმათ დაგებადებათ კოხება, როგორ უძლებს ადამიანის ორგანიზმი ასეთ მიმე დარტყმას? საქმე იმაშია, რომ დარტყმის ხანგრძლივობა ძალზე მცირეა. იგი წამის რაღაც მეათედში ხდება, ახე რომ,

ორგანიზმი ვერ ახერხებს დარტყმის მთელი ძალით აღქმას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დარტყმის მიღება სხეულის მგრძობიარე ნაწილში იწვევს ნოკაუტს—დროებით ცნობიერების დაკარგვას. ტექნიკურ, ნავარჯიშებ მოკრივეს ნოკაუტი იშვიათად მოსდის. ასე მაგალითად, ევროპის ჩემპიონმა ენგებარანმა ისე ჩაატარა 200 შეხვედრა, რომ ნოკაუტით არ დამარცხებულა.

### რამდენს იწონის ადამიანი წყალში?

ამასწინათ, წყალბურთელთა თამაშს რომ ვუყურებდით, ორი მოცურავეს საუბარს მოგვკარით ყური.

— რამდენი კილო ხარ? —კვიოხა ერთმა.

— ოთხი. უნ?

— მე ოთხნახევარი. — უპასუხა პირველმა.

ორივე სპორტსმენი ატლეტური აგებულებისა იყო, მაღალი, ბეჭკანიერი; ეტობობათ, რომ ბარე თხუთმეტი წლის წინათ გამოვიდნენ იმ ასაკიდან, როდესაც ადამიანი ოთხ კილოგრამს იწონის.

ჩვენ ძალზე დავვიანტერესა ამ საუბარმა. როგორ შეიძლება ამოდენა ვაკაცები ოთხ კილოს იწონიდნენ? რას გულისხმობდნენ ისინი, როდესაც თავის წინაზე დაპარაკობდნენ? —გვეკითხებთან თბილისის „ნ-ე სკოლის“ მეშვიდეკლასელები.

აი, რა გვიამბო ამის შესახებ სპორტის ოსტატმა ნიკიტინმა. ამ საუბარში არაფერია არაბუნებრივი. მოცურავეები მართლაც ასე ცოტას იწონიან. მაგრამ, ჩანაკვირველია, წყალში და არა ხმელეთზე.

ეს ერთის შეხედვით უცნაური მოგონება რომ ავხსნათ, ცოტა ხნით აჩქარების ცნობილი კანონი უნდა მოვივიწყოთ: წყალში ჩაძირულ სხეულს იმდენივე ძალა აწვება ქვემოლან. რამდენ წყალსაც იგი გამოდევნის. სხვათადარად რომ ვთქვათ, ჩაძირულ სხეულს სითხე ქვემოლანაც აწვება და ამსუბუქებს მას. ხოლო, თუ ვაგვიხსენებთ, რომ ადამიანს კუთრი წონა დაახლოებით ისეთივეა, როგორც წყლისა, ადვილად მისვლებით, რომ სხეული იმ-

დენივე წყალს განდევნის, რა მოცულობისაც თვითონ არის.

ამიტომ არის, რომ კარგი მოცურავეები ყოველთვის ცდილობენ რაც შეიძლება ღრმად ჩაიმალონ წყალში, ეს ბევრად ამსუბუქებს სხეულს, მაგრამ როგორც არ უნდა ჩაიმალოთ წყალში, ცურვის დროს თავი და ხელი მაინც წყლის ზედაპირზე გვექვებათ, სხეულის ეს, წყალში ჩაუძირავი ნაწილებია „მძიმე“, და ძირითადად სწორედ მათი სიმძიმის დაქვერ ვაგვიხდებ სოლომ წყალში. ამიტომაც სწორედ, რომ, როგორც თქვენც შევიმჩნევიათ, წყალში ჩაშვებული ხელი ბევრად მსუბუქია, ვიდრე მაღლა აწეული.

ადამიანის სხეულის ნაწილები სხვადასხვა კუთრი წონისაა. შედარებით მსუბუქია გულ-მკერდი, რადგან მასში ჰაერით სავსე ფილ-



ტვებია მოთავსებული წყალში რომ არ ჩაიძირით, საქირია რაც შეიძლება ჰორიზონტალურად ყოფა — ე. ი. სხეულის მიმე ნაწილები წყალში ჩაშლივა.

ყველა ადამიანი ერთი კუთრი წონისა არ არის. ეს ძველებს წონასა და ფილტვების მოცულობაზე დაშორებული. ყველაზე არაკურავი ადამიანიც კი წყალში ოთხ კილოგრამზე მეტს იშვიათად იწონის.

ნახ. გ. ფოცხვილისა



# სტენი

(მ ო თ ხ რ ო ბ ა)

ზამთარია. შარავაზე ჩორთით მიდის წვივებმალღი ცხენი. ცარიელ მარხილზე ორი პირმრგვალი ყმაწვილი ზის: იონ ჰოვეტი—ცხენის პატრონის ვაჟი და ღარიბი ბიჭი ნილსი. წინ შორი გზა უღვეთ, მთისაკენ მიემართებიან. იქ ზაფხულშივე მოიმარაგეს თივა, რომელიც ბიჭებმა ახლა ბარში უნდა ჩამოიტანონ. პირველად კი არ მიდიან თივისათვის. იციან, რომ გზა გრძელია—დალამებამდე ვერ ჩამოვლენ უკან. შარას მარხილის კვალი აჩნია. გარშემო ზამთრის საბრძანებელია, ზაფხული შორს, იალაღებს შეფარებია და იქ მშვენიერ ზღაპრებს ბუტბუტებს.

ჯერ ხალსიან გუნებაზე იყვნენ ყმაწვილები. სტვენდენ და საუბრობდნენ. რა არ მოიგონეს. რა მშვენიერი იყო ზაფხულიო—თქვეს. თანდათან სტვენა ჩაქცა. ბიჭებს ტუჩები გაეთოშათ. ეგ არაფერი, რა აუცილებელია ხამალა უსტვინონ.

მაღე ყმაწვილები ისეთ დღეში ჩაცვიდნენ, რომ აღარც ხამალა სტვენის თავი ჰქონდათ და აღარც ხმადაბლის.

ამ თეთრ უდაბურში, სადაც კაცის ჰუანება არ იყო და მხოლოდ ნამჭერში ამოშვრილი მარტოხეები მოჩანდნენ, ცხენი მოულოდნელად წაიქცა.

თურმე, ნუ იტყვით, თოვლის თხელ საბურველს საშიში ჰაობი ამოფარებოდა. ზაფხულობით აქ ვერაფერი გაივლიდა. ზამთრის გზა ბიჭებმა ცუდად იცოდნენ. როგორც კი საულ გზას აცდნენ და ნამჭერ-ნამჭერ გასწიეს, ჰახანის ხმა მოესმათ და ცხენმაუ ჩაიჩოჭა. ცოტაც და, ის უკვე კარგა ნახევარზე ჩაიძირა მღვრიე გაყინულ წყალში. მერე, ეტყობა, ფეხი ჰაობის ფსკერზე დაადგა. წყალს ზემოთ ჩანდა მხოლოდ ცხენის თავი და კისრის ნაწილი.

ბიჭებს ჩუმე, საშინლად ნალღიანი ფრუტუნი მოესმით. განა შეიძლება ცხენი ასე ფრუტუნებდეს? ყმაწვილები შიშმა აიტანა. მარხილი ჯერ ისევ ყინულზე იყო, მარტო წინა მხარე ჩაიძირა წყალში. ცხენმა საცოდავი თვალები ბიჭებს მიაპყრო, ისინიც უმაღე ჩამობტნენ მარხილიდან. ცხენი შეეცადა ყალუზე დამდგარიყო, წი-

ნა ფეხები აიქნია, მაგრამ ხელნა უშლიდა და სულ უფრო და უფრო იძირებოდა წყალში.

ბიჭები დაიბნენ. ნილსმა თქვა, ვიყვიროთო, საშველად მოიხმობთ ვინმეო. იონმა — ცხენი გამოვხანათო. ორივენი ხმაშლიდა გაკვირბდნენ, თუმცა ერთმანეთს გვერდში ხმავდნენ. მერე გონს მოეგნენ, საბოლოო ცხენს მივარდნენ და გამოხსნა დაუწყეს. ხელები წყალში ჩაპყვეს. „აი, ახლა კი ჩავვარდები წყალში,—გაიფიქრა თითოეულმა მათგანმა,—აი ახლა, ვერაფერი მიშველია!“ არა, ყინულის ქერქი გამძლე აღმოჩნდა. ბიჭებმა იმარჯვეს და ცხენს ღვლიდ გაუხსნეს. ცხენი ადვილიდან არ იძირდა—თითქოს რაღაცის მოლოინი აქვსო. საცოდავი სანახავი იყო მისი ღიდი თვალები, რომლებშიაც საშინელი შიში ჩაღვმოდა. მარხილიდან თავდახსნილმა ყალჭზე დადგომა სცადა, მაგრამ რაც უფრო თავგანწირულად ცდილობდა ყალჭზე დადგომას, მით უფრო მეტად ეფლობოდა უკანა ფეხებით შლამში.

„ოღონდ ნულარ დაიკეცეს!“—ფიქრობდნენ ბიჭები, —ისე ნულარ დაიკეცნენ!

ცხენმა შეხედა მათ, შემდეგ თავი დააქანია, რომ მთლად წყალში არ ჩამალულიყო.

„ოღონდ ნულარ დაიკეცნენ!“

ცხენი აქეთ-იქით იქნევდა თავს, მაგრამ აღარ კენსოდა.

სადა იყო სასიამოვნო მოგონებანი. ვისღა ახსოვდა, მშვენიერი ზაფხული ყოფილა თუ არ ყოფილა. აღვლევებულმა ბიჭებმა თათბირი დაიწყეს. იქნებ ერთი მათგანი შინ წავიდეს და მშველლები მოიყვანოსო. ამას ერთ საათზე მეტი ხანი მოუხდებდა. მშველელები აქ დაღამებამდე ვერ მოატანენ. ამასობაში ცხენი მთლად ჩაეფლობა. ერთი ხომ ვერ დაიჭერს ამდენ ხანს. არა, ერთის წასვლა არ ივარგებს. ორივენი აქ უნდა დარჩნენ, ცხენს უშველონ, გებდ ფეხვეშ რაიმე ამოუღონ და, ვინ იცის, იქნებ ვინმემ გამოიაროს. დღეს ერთი მეზობელიც აპირებდა თივაზე წამოსვლას. საცაა გამოჩნდება.

— თვითონ ამბობდა, დღეს მინდა თივაზე წავიდეო, —თქვა იონმა, —მაშ ნამდვილად გამოივლის აქ.

ბიჭებმა ცხენს შეხედეს. მერე ერთმანეთს მიუბრუნდნენ. გადაწყვიტეს, ერთადერთი გზა, რაც დაეკარგინა, აქ დგომა და მეზობლის მოლოინითაო. ცხენი თვალმისტერებით უსურებდა ბიჭებს. ყმაწვილებს ხელ-ფეხი სულ გაეყინაო, მაგრამ ისინი სიცივეს არ გრძობოდნენ. ცივი ქარი, მოჭუჭრული ცა... ეგ არაფერი. ისინი ცხენს დასტრიალებდნენ თავს და გათბებიან კიდევ. საქმე საბოლოო პირუტყვია. ის ხომ ცივი, ყინულოვან წყალში დგას.

— ანუ!—დაიყვირეს ბიჭებმა ერთბაშად, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. თითქოს იმერდ მიეცათ, ან ყვირილით წამოაყენებთო ცხენს,—ანუ, ანუ!

ცხენი თავს იქნევდა, ცდილობდა ჰაობს დახსნოდა და სულ უფრო და უფრო ეფლებოდა. საშველი თითქოს აღარ ჩანდა.

ნილსმა ნაჯახს მოკიდა ხელი და ტანმრულდ არსის ხეებისაკენ გაქანდა, რომლებიც იბოლად იდგნენ თოვლში. აბა, მარდალ! სასწრაფოდ უნდა მოსხვრას ხეები და აქეთ მოათრიოს. იონი ცხენთან დარჩა მას ხელში სადავე მაგარად ეკიარა და, რაც ცხენი და ღონე ჰქონდა, ცხენს ეწყოდა.

„კიდევ კარგი, რომ უკან ვღვავარ, კიდევ კარგი, რომ მის თვალებს არ ვხედავ.“

ამ დროს ცხენმა თავი მოაბრუნა და ბიკს შეხედა. — ანუ!—დაიყვირა იონმა და მთელ თოვლის მინდორზე გახმინდა მისი ყვირილი. ცხენმა თავი იბრუნა.

ღვეკვების ღრუბლიანი ღვდა. საცაა დაღამდება, აბა, ხელი არ უშვა სადავეს. ავარ ნილსსაც მოაქვს ქართი შემოძარცვლილი ტანმრულდ არაყისხე. წყალში ჩაუყარა ცხენს, ფეხებთან—იქნებ იმაზე დაღვეს ცხენი.

— შემეშველე!—მოუთმენლად დაუყვირა იონმა.

ნილსი იონისკენ გამოიქცა. მთლად გაწითლებულმა სადავე გამოართვა ისე, რომ აწახანგისათვის არც შეუხედავს.

ახლა იონი გაიქცა. არყისხეებამდე გვარიანი გზაა. გარემო უღაბურებაა. ეს მეზობელი რა იქნა, საღ დაღაიარა? ეხ, რა დროს ფიქრო!

ნილსს სადავე უქირავს, ხან მოუშვებს, ხან უფრო მოუჭერს. ცხენი მშვიდად დგას. ათიქმის თავიც წყალში აქვს. ნილსი მიხედა, რომ ცხენი სულ გაითოშმა ყინულოვან წყალში. უფრო მაგარად ძისწვია სადავე.

ღრო მიდის. წყალი თითქოს ზვევით მოიწვეს. ბოლოს აქონინებული იონი მოვარდა, ფიჩხი და ტოტები მოიტანა, ისევ ჩაყარა წყალში, მობრუნდა და გაქცევა დააპირა.

გაჯავრებულმა ნილსმა დაუყვირა:

— რაო, თვალს დაძვრენა გინდა? იონი მობრუნდა.

— რას ამბობ, ეგ არც მიფიქრია...

— კარგი ერთი, ჩუმად იყავი, აღარ შემიძლია ამის დაქერა.

— ჰო, აგრე გეთქვა!

წაიკნელებდნენ სასოწარკვეთილი და დაბნეული ბიჭები. ახლა იონმა აიღო სადავე, ნილსი არყისხეებისაკენ გაიქცა.

ისევ ტოტები. ისევ წყალში ჩაყარეს. ერთმანეთს უკვე ისე ენაცვლებიან, აღარ ბუზღუნებენ. გზაზე არაიენ ჩანს. არაფინაა, რომ ცოტა მაინც გაგაზნნევის, შემოგაზნისო. არაფინაა, რომ მოგეშველოს. წყალი კი ნელინელ მოიწვეს ზვევით. საინტერესოა, რა დროა ახლა? ვინ გაიკვება. ახლა მთავარია ბევრი ფიჩხის ჩაყარა წყალში, რომ ცხენს საყრდენი მოუხვრხონ.

— ანუ!—ყვირიან ბიჭები, რათა ცხენი გააზნნევის. ასე ჰქონიათ, პირუტყვის ენის მათი გაზნნევი.

ახლა უკვე საკმაოდ შორეული არყისხეებისაკენ უნდა გაიქცნენ.

— მარხილი! — გაუნათლდათ წუთით გონება, როცა ისევ შეენაცვლენ ერთმანეთს.

უმალე ნაჯახი მარხილზე ამუშავდა, სულ ნაკუწებად აქციეს იგი. ყველაფერი წყალში გადაუძახეს; ამ გაუმაძღარ შლამს დააყარეს. იქნებ ცხენი უკვე აღარ ეფლობა? იქნებ შეიძლება ამ დაწყვეტილი სადავის მოშვება? სადა მეზობელი, რატომ არა ჩანს?

მაგრამ ბიჭებმა იციან, განა არა: დღეს აქ არავინ ჩაივლის. ვინმეს რომ თივის მოტანა ჰქონდეს გულში, ამდენ ხანს გამოივლიდა. არა, მეზობლის მოლოდინი სულ ტყუილია. შინ წასვლაც დაგვიანდა. ის, ვინც დარჩება, დიდხანს ვერ შეძლებს სადავის დაჭერას. მალე დაბნელებმა, სამზე უკვე ხშირბინდია. ოთხზე სულმოლად ჩამობნელებმა.

— ანუ! — ხმაჩახლეჩილები უყვირიან ცხენს. — გესმის! მთელი ღამე შენთან ვიქნებით, დილით კი მეზობლები მოვლენ.

ციცია! არა, ახლა რა დროს ეგაა. რა დროს შენს თავზე ფიქრია. ნილსი ისევ ფიჩხისათვის ვაიქცა. იონი ისევ ცხენთან დგას. ცხენს ქვედა ჩივირი უკანკალებს.

კიდევ ტოტები და ფიჩხი. ყმაწვილებმა მარხილის კავთ დატკეპნებს წყალში ფიჩხი. როცა ნილსმა იონი შეეცალა, უკვე საღამო ბინდი ჩამოწვა.

— კიდევ ფიჩხი!

საქმე მძიმედ მიიწეოდა წინ... ყოველი მოტანა ფიჩხისა დიდ დროს მოითხოვდა. და იქ, შორს, ქარი ისევ არხევედა ოპლად მდგარ ხეებს.

ბინდში ცხენის თვალები უფრო დიდრონი ჩანდა. ბიჭები ახლა აღარ უყვიროდნენ ცხენს. შიშობდნენ, ჩვენმა ხმა ჩვენვე არ დაგვეცეს თავბარიო.

უეცრივ ცხენმა იმათკენ გაიქნია თავი. საშინელმა, აზრმა გაუფელა ბიჭებს: „ახლა, აი, ახლა ჩაიძირება ცხენი“. პირტუცვმა ერთი კი ასწია თავი მაღლა. გათოშული ტურები დაალო და მერე თავიანად წყალში ჩაიძირა.

ეს ისე უეცრად მოხდა, თითქოს ცხენს ფეხები მოჰკვეთესო. სადავე ხელში აპრიოლა. ბიჭები დაიბნენ და უეცრივ ხელიდან გაუშვეს სადავე.

მწარე ნაღველმა გული შეუკუმშა ბიჭებს. გაშმაგებუ-





ლებმა მოსწიეს სადავე. თვითონაც უპვირდათ, ისეთი ძალა აღმოაჩნდათ.

თავი ისევ ამოტივტივდა წყლის ზედაპირზე.

ცხენი ვაღარაა, დაიჭიხინა. ბიჭებმა ყვირილი ატყუნეს. ისეთი არაფერი მომხდარა, ცხენმა წაბოჭტიკა მხოლოდ, იქნებ ფეხი აუკანალდა. ეგ არაფერი, საყრდენი ხომ ისევ ისევ.

ასეა თუ ისე, ცხენის თავი კვლავ წყლის ზედაპირზეა, ბიჭებმა გაშმაგებით მოსწიეს სადავე.

— აჩუ, აჩუ, აჩუ! — ხმაჩხლჩით გაჰკვიანა იონი და ნილსი. იმას აღარ დაგიღვევენ, როგორ გაისმის მათი ხმა სიბნელოში. ცხენმა კვლავ თავი გადაიქნია. ქვედა ჩინიერი ისევ წყალში აქვს. ისევ წამოიწია. ბიჭებმა კიდევ უფრო ხმამაღლა დაუყვირეს ცხენს. ისევ მოსწიეს სადავე. ამ შექახილებით აფორიაქებული ცხენი გრანობდა, რომ სადავე მაგარადა მოზიარებდა და დამიარებინა მას, ამიტომ კვლავ ვალზე შედგა.

— აჩუ, აბა წამოიწიე! — უყვიროდნენ ყმაწვილები.

ცხენის პასუხი ჭიხვინი იყო, რომელსაც პირუტყვმა თითქოს სული და გული ამოატანა. იგი ფეხებით დაეყრდნო ფიჩხს, ერთი კიდევ იძალა და უკანა ფეხები ტანჯრობიდან დაიხსნა.

— აჩუ!

ბიჭებს ახლა თავი უნდა გამოეჩინათ და აკი შეეცადდნენ კიდევ. სადავე ცხენს მუცელკვეშ გაუტარეს და ისევ მოსწიეს. ცხენმა ახალი შეღავათი იგრძინა და უფრო ამოძვრა ქანკრობიდან. ბიჭები გაჰკვიროდნენ, სადავეს ეწეოდნენ. კიდევ ერთი უკანასკნელი ცდა, ცხენი ყინულზე ახტა და, ეს დიდი, ტალახში ამოგანგლული და დასუსტებული პირუტყვი გვერდზე გადაიყარა.

იონი და ნილსიც გადაყრდნობდნენ, ცხენს მიუწევენ გვერდში ძალაგამოლეულნი და აზრდაკარგულნი.

საშინელება ქარმა შეახსენა ბიჭებს, რომ ასეთ შესვენებას სიკვდილი მოჰყვება. გაოწურული ბიჭები გრანობდნენ, რომ გაიყინებიან. ახლავ უნდა აღგნენ და ცხენიც უნდა წამოაყენონ.

ბიჭებმა ცხენს შეუძახეს. ცხენი მიუხედა მათ. ადგა, ფეხმა არ უმტყუნა. იონი და ნილსი გვერდში მიჰყავდნენ. „გასწი, გასწიო“, — უძახდნენ. ცხენი კანკალბდა. იგი ხომ რამდენიმე საათი ყინულოვან წყალში იდგა, ახლა კიდევ ცივი ქარი ჭრის.

ბიჭებმა აჩუ, აჩუ, აჩუ! — ძახილით ცხენი გზამდე მიიყვანეს და თავის ბინისაკენ გასწიეს. თვით ისე იყვნენ განაწამები, რომ ძლივს მიჰყვებოდნენ ცხენს.

მაგრამ გულში დიდი სიხარული ედგათ. დრო და დრო შეუტრტრუნდებოდნენ ხოლმე, ხელვებს აქეთ-იქით

იქნევდნენ, რათა გამთბარიყვნენ. ცხენი ძალზე დასუსტებული ჩანდა, ძლივსა მილასლახებდა. ბიჭები ამხნევედნენ. მთავარია, როგორმე იქ მივიდნენ, იქ კი უნდა კარგად იცილინენ ბიჭებმა, თვით იშოვებმა. კიდევ კარგი თუ იქამდე მიიყვანეს პირუტყვი.

„გადავარჩეთ!“ — სულ ეს აზრი უტრიალებდა თავში ბიჭებს. და კიდევ უფრო მაგარად უტრუნდნენ ხელს სადავეს.

ცხენი ახლა უფრო მხნედ მიდიოდა, თუმცა ისევ კანკალბდა კარგა დაღამდა. ყმაწვილები ძლივს არჩევენ ცხენის თავს. ასე მაილწიეს თვის ბინებს.

ბნელი ფარდული, შიგ ზაფხული შემეძლუა. ბიჭები თვალს არ უჯერებდნენ. ძლივს! გააღეს კარი, ცხენი გაეტევა, აქ ბეგრი თივია, მაგრამ ადგილი ცხენსაც ეყოფა და ბიჭებსაც. ეს კია, რომ ფარდულში სრული სიბნელება.

— აბა, გასწი!

ცხენი მიხვდა. ნაბიჯი გადადგა. ზაფხულის სუნთქვას შეეგება. ბიჭებმა მტერი ძალა იგრძინეს. ახლა იციან, რაც უნდა გაეკეთონ. გაშეშებული ხელი სტაცეს თვის ბლუჯას და ცხენს დაუწყეს ტანის ზეღა. როცა ერთი ბლუჯა დაუსვლდა, მეორე აიღეს. ცხენი იქვე დიდცა თივის მშვენიერ ლიბიზე, ბიჭებმა წაუსვეს თივა, რაც კი შეეძლოთ მაგრად. თან საუბრობენ. ვინ ჩამოთვლის, რა სისულელები არ გაიხსენეს. ჯერ ცხენს დაზღვენ, მერ თივას შემოახვევენ. თვითონაც გათბებიან.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, თვითონ უკვე გათბენ და ახლა შიშშილი იგრძინეს. გაიხსენეს შინიდან გამოტანილი სავალი. ძალიან შიათ. აბა რა, განა საკვირველია! თუმცა, უკმა მერე იყოს. ჯერ ცხენი გაათბონ. მთავარია, ცხენი გათბეს. მერე სველ ტანისამოსს გაიხსნიან, ცხენს მიუწევენ და მასაით თივაში ჩაჰყოფენ თავს, რათა იგრძნონ სითბო და ზაფხულის სურნელი, რათა გულიდან ჯავრი გადაიყარონ.

ფარდულში ბნელა. ბიჭები შეუსვენებლივ მუშაობენ. ჩუ! ეს რა ხმაა, ვინ ახრამუნებს თივას? ნუთუ მართლა? ვაჰ! ცხენმა უკმა დაიწყო!

ყმაწვილები კინაღამ არ აღრიადდნენ სიხარულისაგან. ნუ გეშინია, კიდევ დაგზელათ, თავს არ დაგზოგავთ! ჰო, არ დაგზოგავთ! ამრეშმივით ბალახში ვაგახვეთ, ავე, იმ ფერდობების მშვენიერ ბალახში, რომელიც არასოდეს არ ჰკარგავს თავის სურნელბას.

თარგმნა თ. კოპლატაძემ



**დასაკეცი  
ჰამაკი-საქანელა**

მსუბუქი და მოსახერხებელია ჰამაკი-საქანელა, რომელიც ლინინგრადის ერთ-ერთ ფაბრიკაში შექმნეს. შვიდდივით მოხრილ ორ საყრდენზე გადაკეტილია ტილოს სქელი ნაჭერი. დაკეცილი და შალითაში ჩადებული ჰამაკის ზომა ერთი მეტრი და მხოლოდ 12 კილოგრამს იწონის.

ასეთ ჰამაკში განსაკუთრებით სასიამოვნოა წოლა ეწოში, ბაღში ან ზღვის ნაპირზე. მზისგან თავის დასაცავად ჰამაკს სპეცია-

ლად ცვლის ცხრა ავტოციხტერნას. ეს ტომრები ვისკოზისა და სინთეზური კაუჩუკისაგან მზადდება. შიდა მხარე კი პოლიეთილენითაა დაფარული. იქნება კიბეა და აქვს 160 მგზავრის ორბის მქონე მძიმე, მკურნალობის გამო თავისუფ-

**ტომრები რძით**  
ნთუ შეიძლება რძით გაავსო ტომარა? როგორც ჩანს, შეიძლება. ამისათვის ჩვეულებრივ პატარა ტომარას კი არ ხმარობენ, არამედ უზარმაზარ ტომარა-რეზერვუარს, რომელშიაც 18 ტონა სითხე ჩადის. ორიგინალური ტომარა თავისი დიდი მოცულობის გამო თავისუფ-

გადაყვანის აუცილებლობა კონსტრუქტორებს აიძულებს პრობლემის გადაჭრა ხან ორსართულიან, ხან რკინიგზის ვაგონების მსგავსად ერთმანეთზე გადაბმულ ტრანსპორტში ძებნონ. ახლახან გერმანიის ერთ-ერთ ქარხანაში ააგეს ორვაგონიანი გადაბმული ავტობუსი. იგი 160 მგზავრს იტევს.

**გვირაბი მონბლანის ქვეშ**

ევროპის უმაღლესი მწვერვალის — მონბლანის ქვეშ დაწყებულია გვირა-

ბიარულეთათვის გაკეთდება თავშესაფარებელი ნიშები. გვირაბში ხელფენურად შემოიყვანენ სუფთა ჰაერს და განათებაც დღის სინათლისებური იქნება. თიქრო-



ბენ, რომ ყოველწლიურად გვირაბში გაივლის 600.000 ავტომანქანა. სამუშაოები ორივე მიმართულებით წარმოებს. ფრანგებმა და იტალიელებმა ცალ-ცალკე, მთის მახვილში ექვს-ექვსი კილომეტრი კლდე უნდა აკაჭრან.

**ელექტრო სამოვარი**

ჩვენს წინაშე რუსული ტრალიციული სამოვარია, მაგრამ საქმოდ განსხვავდება თავის წინაპრისგან, ახლა მის განაჩადებლად აღარ არის საჭირო ხის ნახშირი. საქმე გაცილებით იოლია კეთდება: ჩართავთ



დილაქ და ნახევარ საათში წყალი აღუღებელია. სამოვარის მოცულობა ოთხი ლიტრია. იგი შეიძლება ვისმართ 127 და 225 ვოლტ ელექტროდენზე. ეს სასარგებლო საოჯახო ნივთი ახლახან გამოუშვა პერპის ქარხანამ.

ლაღ ცვლის ცხრა ავტოციხტერნას. ეს ტომრები ვისკოზისა და სინთეზური კაუჩუკისაგან მზადდება. შიდა მხარე კი პოლიეთილენითაა დაფარული. იქნება კიბეა და აქვს 160 მგზავრის ორბის მქონე მძიმე, მკურნალობის გამო თავისუფ-

**ავტობუსი 160 მგზავრისათვის**  
რაც შეიძლება მეტი მგზავრის ერთდროულად

ბის გაყვანა. გვირაბის სიგრძე 12 კილომეტრი იქნება, სიმაღლე—10 მეტრი, სიგანე—9. მშენებლობის დამთავრების შემდეგ გვირაბში გაყვანილი იქნება საავტომობილო გზა; მანქანების დაზიანების შემთხვევაში მოძრაობა რომ არ შეფერხდეს, ყოველი 900 მეტრის ბოლის ტექნიკური დახმარების სადგურები იქნება, ყოველი ორასი მეტრის შემდეგ, ქვეითად მო-



ლური მოწყობილობა აქვს გაკეთებული, რომელიც, სხვათაშორის, თავისებურ





ავტობუსი უახლოვდება ბარმიშს; ბარმიშს იქით ბეგრის რამე საინტერესო ვგელოს.

აი, ბარმიშვი!

ჩემი განუყრელი თანამგზავრია ვია. ვადავწყვიტეთ, ზაფხულის არდადეგები მდინარე შავწყალს სათავეში გავატაროთ, იქ, სადაც ბინადრობენ და ჩვენი სპეციალისტების მადლიანი ხელით უხვად მრავლდებიან შავი ზღვის ორაგულები.

აგერ, დასახლებული ადგილიც გამოჩნდა. აქა-იქ წამომდგარი შენობები მოწმობენ, რომ ეს ჩვეულებრივი სოფელი არ უნდა იყოს. მარცხნივ ორსართულიანი, კარგი გემოვნებით აგებული შენობაც დაინახეთ. ექვს გატრეშა, რომ ჩვენი უკვე მივიღით შავწყალს ორაგულისა და კალმახის მეურნეობაში.

დაგვებინავეს მეურნეობის სასტუმრო ოთახში.

მძოლომა უწინარეს ყოვლისა მიგვიყვანა შავწყალს სათავესთან. თვალწარმტაცი სანახაობაა. გამოირკვა, რომ დიდ მთას, რომლის მკერდილიანაც გადმოჰქუხს შავწყალა, არბიზა ეწოდება. მდინარეს სახელად შავწყალა გვიან შერქმევია. მისი ძველისძველი სახელია მკიში. ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ შავწყალს სათავე არბიზის კალიდან იწყება. შავწყალს სიგრძე 24,3 კილომეტრს უდრის. მდინარის ხილული ნაწილის სიგრძე კი შეადგენს 15 კილომეტრს. მანასადაგე, ის მიწის ქვეშ მომდინარეობს თითქმის 10 კილომეტრის მანძილზე და გამოსავალს არბიზის კალთაზე პოულობს.

ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ შავწყალს თევზის მეურნეობის მთავარ საფუძველს წარმოადგენდა მდინარე შავწყალის ანკარა წყალი. მომდევნო დღეებში დავათვალეთ მეურნეობის სხვადასხვა საამქროები. ყველაზე

საინტერესო გამოვდა ის ცნობები, რომლებიც მოგვცა მძოლომა ორაგულის ლიფსიტების ტბორებთან. ორაგული თევზებს შორის ყველაზე ძვირფას თევზად ითვლება. ის ბევრ ადგილას არის გავრცელებული, უმთავრესად კი ატლანტიისა და წყნარი ოკეანის ჩრდილო ნაწილებში. ის ბინადრობს აგრეთვე შავ ზღვასა და კასპიის ზღვაში. ორაგული კალმახის ახლო მონათესავე თევზია. იმასაც კი ფიქრობენ, რომ ორაგული კალმახისაგან არის წარმოშობილი. შემჩნეულია, რომ ბოლო დროს ამ თევზის მარაგი შავ ზღვაში საგრძნობლად შემცირდა. ამას უთუოდ თავისი მიზეზები აქვს. ეს მოგვლენა ბოლომდის არ არის შესწავლილი, მაგრამ ზოგი რამე კი ცნობილია.

ამ თევზის მარაგის შემცირების მიზეზი მისი გამრავლების თავისებურებაშიც არის: ორაგული ზღვაში ცხოვრობს, მაგრამ ქვირითის არასდროს ზღვაში არ ყრის. ქვირითის დასაყრდელად ის ზღვაში შემდინარე მდინარეებში მიეკურავს — ქვირითის ჰყრის ამ მდინარეების ზედა ნაწილებში, სათავეებთან ახლოს. ჩვენს მდინარეებზე გაშენებულია ჰესები. ჰესის მშენებლობა კი გზას უზღობს ორაგულს იმ ადგილებისაკენ, რომლებიც ყველაზე შესაფერია ქვირითის დასაყრდელად, ყოველ შემთხვევაში, უძნელებს ამ ადგილებზე მისვლას. გარდა ამისა, ქვანახშირისა და სხვა სახისხვა მანქანების მოპოვებაც იმდენად აუწყუიანებს ამ მდინარეებს, რომ უძნელებს ორაგულს გამრავლების საქმეს. ამ მხრივ შავწყალა დარჩა სრულიად ხელუხებლად, მისი ანკარა წყალი არაფრით არ არის გაუუქვიანებული. ამიტომ არის, რომ ის ორაგულისათვის ქვირითის დასაყრდელ საუკეთესო ადგილად დარჩა. ახელსავე პირობებს უქმნის ორაგულს მდი-

ნარე ბზიფი და კოდორი. ტოფობის დროს აქ ამოსულ ორაგულებს იჭერენ ბაღებში, ართმევენ დედალ ორაგულებს ქვირითის, ხოლო მამალ ორაგულებს — გასანაკეთებელ სითხეს, ქვირითის ხელოვნურად ანაკეთებერებენ და შემდეგ საინჟუბაციაო საპრობო გამოკავთ ორაგულის ლიფსიტები. ქვირითი თავსდება საგანგებო აბაზანებში, რომლებშიც მიწებით განუწყვეტელ ნაკადად მოდის შვეწყალს წყალი.

შავი ზღვის ორაგული დაახლოებით 4 ათასიდან 6 ათასამდე ქვირითს ჰყრის. ლიფსიტები ზღვაში რომ იჩეკებოდნენ, ისინი, ცხადია, ვერ გადავლიდნენ მტაცებელ თევზებს, რომლებიც ზღვაში ძალიან დიდი რაოდენობით იმყოფებიან და ორაგულიც ვაღბაშენდებოდა. მდინარეში კი მათი ინჟუბაცია და ლიფსიტების ზრდა ნორმალურად მიმდინარეობს. ამიტომ არის, რომ ორაგული ასეთ ოინებს სჩადის: ქვირითისათვის შესაფერი ადგილის ძიებაში ის ზოგჯერ არამდინამე ათეულ და ასეულ კილომეტრზე მიეკურავს.

ინჟუბაციის ხანგრძლივობა დიდად არის დამოკიდებული წყლის ტემპერატურაზე. შვეწყალაში, რომლის ტემპერატურაც 9—10 გრადუსს უდრის, ორაგულის ინჟუბაცია გრძელდება 47—50 დღეს. მდინარე კოდორში კი, რომლის ტემპერატურაც დეკემბერში 2—3 გრადუსამდე დადის, ლიფსიტების გამოჩეკა გრძელდება 90—120 დღეს.

ორაგულის ლიფსიტები მდინარეში ძალიან ხელა იზრდებიან. პირველი წლის ბოლოს ისინი 11—12 სანტიმეტრს აღწევენ, მეორე წლის ბოლოს 20 სანტიმეტრს. ორი წლის ასაკის ორაგულს ზღვისკენ დაქანების ასაკის ორაგულს უწოდებენ. ამ ასაკს რომ მიაღწევს, ორაგული ზღვისკენ მიეკანება. ზღვაში მას სრულიად ეცელება არსებობის პირობები. ახლამაც უკვე შეუძლია მტაცებლისაგანაც დაცვას თავი და საკვებში მოიპოვოს საკმარის რაოდენობით. მის საკვებს ძირითადად თევზი ხაშა შეადგენს. ზღვაში ყოფნის 1 წლის თავზე

ის სიგრძით უკვე 50 სანტიმეტრს აღწევს, ზოგი—60 სანტიმეტრს. 4 წლის ასაკში ის 76 სანტიმეტრის სიგრძისაა. გამრავლების უნარს შავი ზღვის ორაგული იქნის 3 წლის ასაკში, როცა ის სიგრძით 50—60 სანტიმეტრს აღწევს.


შვეწყალის მეურნეობის მიზანი იმაშია, რომ მოიპოვოს ორაგულის ქვირითი, განაყოფიეროს ის, გამოჩეკოს ლიფსიტები, ასაზრდოოს ისინი 2 წლის განმავლობაში, მიიყვანოს ზღვაში დაქანების ასაკამდე. შემდეგ კი მეურნეობა ულკაცავ მათ გზას, უხსნის ზღუდეებს და ისინიც ზღვიკენ მიემართებიან. ამნაირად, მეურნეობის მიზანი ის კი არ არის, რომ სასაქონლო ორაგული მოიპოვოს, არამედ ის, რომ შავი ზღვა გაამდიდროს ამ სახის თევზით. სასაქონლო ორაგულის ჰერა კი შვე ზღვაში წარმოებს. მეურნეობამ ზღვაში 1935 წელს 45 ათასი ცალი ორაგული ჩაუშვა, ხოლო 1958 წელს 52.800 ცალი.

გია დაღბერესდა ამ ამბით და მძლოლს შეეკობა:

— თქვენ 2 წლის განმავლობაში ზრდით ორაგულს, უფით, კვებათ, შემდეგ შვე ზღვაში უშვებთ. რატომ ღიქობთ, რომ ის ჩვენს სანაპიროზე დაჩრება, რატომ არ შეიძლება, რომ მან მოქუსლოს და ისე შორს წავიდეს, რომ მის ვალსაც კი ვეღარ მიავლით. ეს ხომ ნაშრომის წყალში დადარას ნიშნავს!

— სანამ აქ, შვეწყალს სათავეში, ორაგულის მოშენებას შეუდგებოდნენ, მეციქნებმა წინასწარ შეისწავ-

ლეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა საზღვრებში მოძიობს ორაგული შვე ზღვაში, ან რა ინტელექტურებს მას ადგოს. შენ უნდა იცოდ, რომ ცხოველს ადგილის ცვლისას, უმთავრესად საკვების ძიება ამოძრავებთ. შენ ხომ არ გგონია, რომ მათაი ტურისტული ინტერესები, სხვადასხვა ადგილების ნახვისა და გაცნობის სურვილი აქვთ? შავი ზღვის ორაგული საზრდოობს ხაშმით. შესწავილია, რომ ხაშა ქარავენებად მოძრაობს შავი ზღვის საქარავულოს სანაპიროებიდან მდინარე ყუბანის შესართავამდე, ზოგჯერ აზოვის ზღვამდეც. აი, ამ ქარავენებს დასდევს ორაგულიც და ამნაირად ირკვევა მისი მოძრაობის საზღვრები. ის შიშობს, რომ ორაგული არ დაგვიფასებს მასზე ვაშუულ ამავს და სადაც შორს გადაიკარგებაო, უსაფუძვლოა. მაგრამ საქმე არც ისე მარტივია, როგორც შეიძლება მოიგონოთ ჩემი თხრობის მიხედვით. ამ საქმეს თავისი სიმწიფეებიც ახლავს. ერთი სიტუაცია შეიძლება მდინარეობს: სიძლიეროს შემჩნეულია, რომ ქვირითის დასაქრულად შვეწყალს სათავეში ორაგული მცირე რაოდენობით მოდის. ამრიგად, გამოდის, რომ მეურნეობას ორაგულის ლიფსიტების გამოჩეკისა და გაზრდისათვის წყალი ხომ ბევრი აქვს და ბევრი, დიდი რაოდენობით აქვს მოწყობილი ტბორებიც და დამზარებ ნაგებობებიც, მაგრამ, თუ განაკეთებერებულ კერესებებს ვერ მოიპოვებს საკმარის რაოდენობით, ცხადია ვერ მიიღებს საკმარის რაოდენობის ლიფსიტებს და



შავი ზღვის თევზის რესურსების გამოძილება დაბრუნდება. ამის გამო, განზრახულია, მდინარე ბზიფუზე და კოდორზე დაწესდეს დამზარე პუნქტები. აქაც იწარმოებს ორაგულის ქვირითის მიპოვება, მიეწყობა საინჟინერო საამქროები, გამოიჩვენება ორაგულის ლიფსიტები და ერთი თვის ლიფსიტების გადამოყვანიერ შეწყალას მეურნეობაში. ფიქრობენ, რომ ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ შეაწყვას უფრო მეტი რაოდენობით ჩაუშვას შავ ზღვაში 2 წლის ასაკის ორაგულები. საერთოდ კი, ამ თევზის რაოდენობა შეე ზღვაში იმდენად შეეკრდა და თანდათან იმდენად მცირდება, რომ მისი მომარაგებისათვის სხვა, უფრო გადამჭერი ლონისძიებების გამოყენებაც ხდება საჭირო. ერთ ასეთ ლონისძიებულ ისახება კასპიის ზღვიდან ორაგულის გადმოწერვა შავ ზღვაში.

კასპიის ზღვის ორაგული რამდენადმე განსხვავდება შავი ზღვის ორაგულისაგან. ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ კასპიის ორაგული უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე შავი ზღვის ორაგული. იგიერთი არ არის მათ შორის ისეთი ცალმეტი, რომელიც წონით 35 კილოგრამს აღწევენ. უნახავთ 51 კილოგრამის წონის კასპიის ორაგულიც. ეს ორაგული ქვირითის დასაყრდელ კასპიის ზღვიდან მდინარე მტკვრის გზით მიემართება სხვადასხვა შენაკადებში, მათ შორის ალაზანიც. საკვირველია, მას რატომღაც იორო არ მოსწონს. ამიტომ იოროში არასოდეს არ მოინახება ეს თევზი. ქვირითის დასაყრდელ კასპიის ორაგული ყველაზე მეტად არავის ეტანებოდა მანამ, სანამ ზაჭის აშენდებოდა. ტოფობის დროს, როგორც თეთრი, ისე შავი და ფშავის არავიე მოდებული იყო კასპიის ორაგულებით. ფშავის არავით ის

დიდი რაოდენობით აღწევდა ხევსურეთამდე. ზაპისის აშენების დროს გაკეთებული იქნა ორაგულის ასასვლელად საგანგებო გზა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გზა ისე აიგო, რომ გათვალისწინებული არ იყო კასპიის ორაგულის ბიოლოგიური თავისებურებები და ამიტომ მას შეეკრა გზა არავგვისკენ. თუმცა ეს გზა სხვაგვარი ორაგულისათვის შეიძლება სავსებით შესაფერისი გამოდგარიყო. ორაგულს, კასპიის ზღვის ვითარებაში, ერთგვარი ნირო შეეშუშავებია, ხოლო შავი ზღვის ვითარებაში—მეორეგვარი. ამიტომ, თუმცა დაისახა ლონისძიება კასპიის ზღვიდან ორაგულის შვე ზღვაში გადმოწერვა, მაგრამ ამის ერთი ხელის მოწვევით გატარება არ შეიძლება. ამის მეცნიერული შესწავლა სჭირდება. შავი ზღვის ორაგულთან შეჯვარებამ, შეიძლება ისეთი ნაირსახეობა მოგვეცეს, რომელიც მშენებარად იკრძობის თავს შვე ზღვაში და, ამგვარად, ეს ჭვირფასი თევზი შეიძლება კვლავ მიმარავდეს.

გია კარგად გაეცნო შეწყვალას მეურნეობას, მაგრამ იგი მხოლოდ გაცნობით არ კმაყოფილდებოდა. ის ეხმარებოდა თევზების მომეღულ მუშებს, განსაკუთრებით თევზების კვების საქმეში. საკვებად თევზებს აძლევდნენ ხორცის მანქანაში გატარებულ ხამსა თევზსა და ცხოველების ელენთას. ამ საკვებს წაუსვამდნენ მავთულისაგან მოწულ ერთგვარ ლასტებს. ლასტებს ბაწრებით უშვებდნენ ტბორში. თევზები მიესროლდნენ ამ ლასტებს და სწრაფად სანსლავდნენ საკვებს.

ამასობაში არღადეგები დამთავრდა და ჩვენც დაგვიდგა შინ დაბრუნების დღე. გულთბილად გპოვეთხოვეთ ჩვენს მასინძლებს და წარუშლელი შთაბეჭდილებებით დატვირთულნი გავუღვეით გზას.

საქართველოს  
წიგნების  
კავშირის  
წევრი

## გულმაგი წიგნი

წელსაც ისე, როგორც შარშან  
იმავ კლასში დარჩა ლაშა.

მთელი დღე რომ იჯდეს სახლში,  
წიგნს ერთხელაც არ გადაშლის.

სკოლაში კი ეძებს მიზეზს—  
არ მოსწონინდეს გაკვეთილზე.

უკანასკნელ მერხზე მჯდარი  
ნატრობს: როდის დარეკს ზარი.

ვთქვათ და, ჰქითხეს გაკვეთილი,  
ზეზე ღვება დათენილი

და პახუხად ამბობს იმ წამს:  
— მასწ... ვიცოდი, დამაწყვდა.

მოდა, ლაშას დანახავზე  
ელიმებათ თანაკლასელთ.

ვიღრე დროა, ლაშა ბიჭო,  
დაუფიქრდე შენს თავს, გიჟოზს.

მოიხიდე კარგად ირგვლივ,  
გადაშალე სიბრძნის წიგნი.

ერთხელ მაინც არ იფიქრე:  
მასწავლებელს წელსაც, იქნებ,

იმავ კლასში, როგორც შარშან,  
დაგაწყვდე, ჩემო ლაშა!

**ქანსულ ნიძაბაძე**




# უკვანკო



# ფოტო

გადაღების დამავრების შემდეგ ფოტოფსკი ექსპონირებულია, რომელზეც გამჭკრიებულია უჩინარი ფოტოკარები. ფოტოკარების გამო-სახვისათვის საჭიროა ექსპონირე-

## ბ. ჯოჯა



სურ. 1.

ბული ფოტოაფსკი გავამკლანთო სამკლავებელ ხსნარში.

თანამდროვე ფოტოაფსკები, როგორცაა იზოპანქრომი, პანქრომი და იზოქრომი, მგრძობიარეა სინათლის სპექტრის ყველა ფერის მიმართ. ამიტომ ნეგატივის ჯამკლავება უნდა ვაწარმოოთ სრულ სიზღვევაში: ფოტოაფსკის კასეტაში ჰოთავესება, ექსპონირების შემდეგ მისი კასეტიდან ამოღება, სპირალიან კოჭზე დახვევა, სამკლავებელ ხსნარში ჩაშვება და იქიდან გამამკრებელ ხსნარში (ფოქსაჟში) გადატანა უნდა ვაწარმოოთ სრულ სიზღვევაში.


ექსპონირებული ფოტოაფსკის გამკლავების შემდეგ ჩვენ მივიღებთ ნეგატიურ გამოსახულებას, რომელიც იმ ადგილებზე, სადაც სინათლის სხივები დაეცა, შავია, ხოლო იქ, სადაც სინათლის სხივები არ დაეცა — თეთრი. ასეთი ნეგატივის სინათლზე გამოტანა დაუშვებელია, რადგან სამკლავებელიდან ამოღებულ ნეგატივზე შუქის მოქმედებით თეთრი ნაწილებიც გაშავდება და გამოსახულება

მთლიანად გაქრება. ამის თავიდან აცილების მიზნით შემოგებულია ახადგამკლავებული ნეგატივის გამაგრება, რასაც მეორენაირად ფიქსირებას უწოდებენ. ნეგატივის გამაგრება წარმოებს ჰიპოსულფიტის წყლიან ხსნარში, რითაც ნეგატივი სინათლის სხივების მიმართ უცნებელი ხდება.

ნეგატივის გამაგრებისათვის მეტწილად იყენებენ მკვე გამამკრებელ ხსნარს.


ნეგატივის გამკლავება წარმოებს ფოტოაფსკი (სურ. 1), რომელშიაც რიგრიგობით იხსება ჯერ სამკლავებელი, შემდეგ კი გამამკრებელი.

გამკლავების ხანგრძლიობა დამოკიდებულია სამკლავებელი წამლის ხარისხზე; ხოლო გამაგრებისათვის უმეტესად 10—15 წუთია საკმარისი. საბოლოოდ გამაგრებული ნეგატივი უნდა გრეცხოთ გამდინარე ცივ წყალში 15—22 წუთამდე, შემდეგ კი გასაშრობად ჩამოვიკიდოთ. ნეგატივის თანაბრად გაშრობისათვის მის ბოლოზე უნდა ჩამოვიკიდოთ რაიმე სიმძიმე. (სურ. 2).



სურ. 2.

პროექციული წესით ფოტოსურათების დაბეჭდვა ფოტოგამადიდებლის საშუალებით უნდა ვაწარმოოთ, მისი პრინციპული სქემა მოცემულია სურ. 2-ზე. ფოტოგამადიდებლის ძირითად ნაწილებს შეადგენს სინათლის წყარო, კონდენსორი და ობიექტივი. სინათლის წყაროდ უშვებოქსია გამოვიყენოთ ჩვეულებრივი ან რძისებრი მინის ელნათურა. სინათლის წყაროს ქვემოთ მოთავსებულია კონდენსორი. კონდენსორის ქვემოთ, ზუსტად განსაზღვრულ მანძილზე ნეგატივის სათავსო ჩარჩოა მოთავსებული, რომელშიც ნეგატივის ისე ვათავსებთ, რომ მისი პრიალა ზედაპირი მოექცეს ზემოდან,



\* დაახარული. იხ. „პრონერი“ № 8





სურ. 3.

4. ფოტოკალდის შუქმგრანობიარობაზე.

ექსპონირებული ფოტოკალდის გასამკლავებლად საჭიროა ჩავატაროთ შემდეგი ოპერაციები:

1. სამკლავებელში ჩაშვებული ფოტოკალდი დავიჭიროთ პინცეტით და გამოძარკოთ ხსნარში დაბლოებით 1-დან 3 წუთამდე—მანამ, სანამ ფოტოკალდზე არ გამოისახება ფოტოსურათის ყველა დეტალი.

2. გამკლავებული პოზიტივი გავაგლოთ წყალში 10 წამის განმავლობაში. შემდეგ გადავიტანოთ გამამკრებელ ხსნარში, სადაც ფოტოსურათის საბოლოო გამაგრებისათვის საჭიროა 15 წუთამდე.

3. გამაგრებული ფოტოსურათები გადავიტანოთ გამდინარე ცივ წყალში გასარეცხად, საიდანაც 20 წუთის განმავლობაში რეცხვის შემდეგ დავალაგოთ სუფთა ქაღალდზე ან გაზეთზე გასაშრობად. იმ შემთხვევაში, თუ პირილა ფოტოკალდებია გამოყენებული, საჭიროა მინაზე ან ცელულოზის ნაჭერზე გავკრა.

4. მინაზე ფოტოსურათების გასაპრიალებლად საჭიროა ისინი 10 წუთი სოდთან წყალში მოვათავსოთ. გასაპრიალებლად გამოდგება ჩვეულებრივი სარეცხის სოდა, საკმარისია ერთ ლიტრ წყალში ჩაყაროთ ერთი ან ერთსაზევარი პეშვი.

5. ფოტოსურათების გასაპრიალებლად გამოდგება ყოველგვარი მინა სწორი და პრიალი ზედაპირით, მაგრამ აუცილებელია მინის ზედაპირების წინასწარ დამუშავება სკიმიდარით ან ბენზინით. შემდეგ მინა ისევ გავრეცხოთ სოდანის წყლით და მის ზედაპირზე დავაფინოთ ფოტოსურათები. ფოტოსურათებს ზემოდან დავადოთ გაზეთი და მასზე რამდენჯერმე გავატაროთ რეზინიანი გორგოლი ან ხის სახაზავი მანამ, სანამ ფოტოსურათებსა და მინის ზედაპირს შორის არ მოისპობა წყლის პუშტულები.

1. ვინ იყო პირველი რუსი მოგზაური, რომელმაც გამოიკვლია პაპუასების ცხოვრება ახალ გენეზაზე?

2. რატომ უწოდეს სამხრეთ ამერიკის ბოლოს მდებარე არქიპელაგს „ცეცხლოვანი მიწა“?

3. ვინ აღმოაჩინა ჩრდილო პოლუსი? პირველი ვინ მივიდა სამხრეთ პოლუსზე?

4. სად არის დედამიწაზე დღე და ღამე ყოველთვის თანაბარი?

5. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე პირველად სად ზღვებიანი ახალ წყლს?

6. რომელი მატერიკი შედგება ორი ქვეყნის ნაწილისაგან?

7. სად არის კონცხი ევროპა და კონცხი აფრიკა?

8. რომელ არქიპელაგში შედის კუნძულები: ოქტომბრის, რევოლუციის, ბოლშევიკი, კომკავშირელი, პონენი?

9. დასახელეთ ყველაზე ღრმა ადგილი მსოფლიოს ოკეანეებში.

10. წყალში რა სიღრმემდე მიულწვევია ადამიანი?

11. რამდენი ზღვაა დედამიწის ზედაპირზე?

12. საბჭოთა კავშირში სად შეიძლება გაიაროთ ორი-სამი საათი ფეხით, რომ ერთი ზღვიდან მეორე ზღვამდე მიხვიდეთ?

13. რომელ ზღვაში არ ჩაიძირება ადამიანი, რომელმაც ცურვა არ იცის?

14. სსრ კავშირში რომელი ზღვა ეკვრის გარს სამ მოკავშირე რესპუბლიკას? ოთხ მოკავშირე რესპუბლიკას?

16. რომელია ყველაზე დიდი მყინვარი მსოფლიოში?

17. რომელი მატერიკია მთლიანად დედაურლი ყინულით?

18. რატომ არის ცა ლურჯი?

19. არის თუ არა სსრ კავშირში ადგილი, სადაც უფრო ცხელია ვიდრე მკვებარზე?

ხოლო ფოტოკადრები თავუკდება უნდა იყოს.

ფოტოსურათების პროექციული წესით დაბეჭდვა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

1. სინათლის წყაროს სიმძლავრეზე და ნეგატივიდან დაფა-ეკრანამდე დაშორების მანძილზე.

2. ნეგატივის გამჭვირვალობასა და სიმკვეთრეზე.

3. ობიექტივის შუქძალაზე, რომელიც შეიძლება ვცვალოთ დაფრაგმის დავიწროებით.



მითვისება დათვი

ცემბრის ტივამში მონადირეებმა შორიდან შეიპოვეს დიანახსი, რომელიც ეწარმოებული ითვ- ჯაობდა, ორაველს ესწრაფა და ნახარზე ყრიდა, როდესაც მოუხალღდნენ, მიხერხებულა ამოეფეხა დიდი დათვი აღმოჩნდა. გამორიყვა, რომ დათვი თევზ იჭერდა და ორმოში და- სასლობად ყრიდა, რათა შემდეგ იგი გვერე- ლდ მიერთობა.

შემვლსი ძანდაკამები

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში ამას წინათ გათხრებულს დიანო იძიებს ორი უძვე- ლესი და მეტად საინტერესო ქანდაკება. ერთი- ერთზე წერია: «ვააკეთა ევერემამა. შევიერთა აზრით ასეთი წარწერაინ ქანდაკება იმეათია. ქანდაკებაზე წარწერა გეოვრის ალბანეთში ქალაქ ათენიდან ჩასულ ისტატს ეყვრის. მეორე ქანდაკება მიკეთებნა ძველი წელთ- აზრითვის შესაშ საუკუნეს. მასზე განახსენა- ღია ადუქსანდრე მაკედონელის თანამედროვე ორატორის სახელგანთქმულ დემოსთენის სახე.

26 საუკუნის სახლი

ირანის ძველთაქვე ქალაქ პერსებოლში მეცნიერმა არქეოლოგებმა გათხრების დროს აღმოაჩინეს არანის წყლის დაროსის სასახლე, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 518 წელს არის აგებული. ეს სასახლე 320 წელს ხელი იგდო ალექსანდრე მაკედონელმა და ნაწილო- ბრივ დაანგრა იგი. ეს სასახლე მეტად ლიბის, მარტო დარბაზის სიმაღლე 18 მეტრს უდრის, დარბაზის სიღრმე 36 სეტვს ყვრდნობა. ამ ქა- ლაქს ქვიდა შესანიშნავი ჰიპოდომეოკა. რა- მელშიც 30.000 ცალი თიხის ფორტივა ყო- ფილა. არქეოლოგებმა ამ ჰიპოდომეოთის მხო- ლოდ ნაწილს მიაკვლიეს.

სამი ათასი წლის ლემსიქონი

ქალაქ ბეირუთში ფრანგმა არქეოლოგმა კლოდ შვიერმა გათხრების შედეგად აღმოაჩი- ნა სამი ათასი წლის ლემსიქონი, რომელიც ოთხ ენაზეა შედგენილი. აქ ერთმანეთთან შე- დარებულია სურბული, შაბილონური, სურბი- ტული და უგარბული ენები. ფიგურებენ, რომ უგარბული ენა ძველ ებრაულ ენას უახლოე- დება. ლემსიქონში მოცემულია აგრეთვე ბატო- ვანი სიტყვა-თქმნიც.

ორი ათასი წლის ლმონის პარხამული

ამას წინათ საფრანგეთში, მარსელის რაიო- ნში, წყალში იპოვეს ძველი ბერძნული ლმონის პურქული; ასეთი პურქულებით ორი ათასი წლის წინათ ბერძენებს ღვინო გადაქონდათ თავიანთი კონძელ როდოსიდან მარსელის მიდამოებში არსებულ ბერძნულ კოლინიამში.

50.000 წლის თხსლი

მანკურიაში ნაპოვნი იქნა მცენარე ლტო- სის თხლი, რომლის ხნოვანება 50.000 წელს აღწევს. ქალაქ ვანგეტონის ტროქნულ პარკში ამ თხსლამ იზარა და ლტობის ადმოქა.



მეციერი სპეციალისტები ვარაუდობენ, შეიძ- ლება სხვა უძველესმა თხსლებამაც გაიხაროსო.

შემვლსი კულტურის ნაშთები

დანიშნა არქეოლოგებმა, რომლებიც გამოკ- ვლევებს აწარმოებდნენ სპარსეთის ყურეში, აღმოაჩინეს დღემდე სრულიად უცნობი უძველ- სი კულტურის საკვირველი ნაშთები: ტაძრები, სპარაკლები და ხელფეხების ბეჭენ ნიშნუ. ექსპედიციის ხელმძღვანელის—პროფესორ გლი- ბის შეხედულებით მის მიერ აღმოჩენილია უძ- ველესი ქალაქი დილიბრი. ექსპედიცია ძველად განაგრძობს მუშაობას.

სუმიის არბი ძველად

სუციის არბის გაყვანის ისტორია (1859—69 წ.) კარგად არის ცნობილი. მაგრამ ძალზე ცოტა რა ვიცით სუციის არბის წარსულის შესახებ.



ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკრ კიდევ ორი ათასი წლის წინათ ხმელთა შუა და წითელი ზღვები არბით ყოფილა შეერთებული. მაგრამ ეს არბი ტექნიკრად არასრულყოფილი იყო, ხშირად ჭეშოთი იფარებოდა და გაწუდდეს სა- კურობოდა. პირველი ათასწლეულის დასაწყისში არბმა არსებობა შეწყვიტა, და ფართო ნახოს (მეცხველ საუკ. ჩ. წ.) ხელახლა მოუხდა მისი გაყვანა. ეს ამბები ჩვენამდე დიდი ბერძენი გე- ოგრაფის პეროდოსეს ნაწერებში მოვიდა. პე- როდოსტკავე ნაწერებში გვტყობილობენ, რომ სპარსეთის მეფე დარიოსს 520 წლისათვის მა- ინე მოუხერხებია არბის გაყვანა არბის მარ- ჯენა მზარეს ოთხ მაღალ სტელაზე ლურს- მული წარწერა ყოფილა ამოკვეთილი. მცენარე- ბზე საუკუნის სამოციან წლებში სუციის არბ-

ზე მუშაობისას ნაპოვნი იქნა ამ სტეების ნა- ტეხები. ერთვან ასეთი წარწერა იქნა ამოკო- ხული: «მე—წერს დარიოსი—გუბრძანე გაეო- ხარათ ეს არბი. არბი გათხარე იქნა. კიდევ ვებრძანე მე, რომ ამ არბით წაშობდნენ გუეზე- ბი სპარსეთისათვის. დარიოსის შემდეგ არბი რამდენჯერმე იქნა გაუქმებული და აღდგენილი, ვიდრე 770 წელს ხალდაის ხალფა მანურმა იგი არ ამოიკოს, რათა არაბების მიწისუფლისათვის შეეშალა ხე- ლი.

საილოზ ბონინიძება

ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში საბერძნეთის გამოჩენილი მეფე და სარდალე ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთში ბრძო- ლებს აწარმოებდა. ინდოეთის ერთ-ერთი მეფე პირისი დიდ ხალხზე უჯობით ეზრძოდა მაკედონელს. სანამ პირისი მედგრად იმბრძოდა, საილოზ გათვრე- ბული იყუდა თავს. როდესაც იჯდნო, მუი შეეფს ისრები მოხვდა და ტვირობებისა- გან ღონე ეცლებოდა, ძირს დაეშვა, პატრონი გადმოხდა და სპორთებით წელ-წელა დაუწყო სხეულიდან ისრების ამოღება.

გიფრი

ასე უწოდებოთ ჩვენ რიცხვში შემავალ ყვე- ლა ნიშნებს. სიტყვა «ცოფრია არაბულია და არაფერს, სიკაროელს ნიშნავს. მაშ, როგორ მოხდა, რომ დღეს ამ სიტყვას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს? ნოლი ინდოელებმა მიიკონეს და მას «სუ- ნია» დაარქვეს, რაც მათ ენაზე სიკაროელს ნიშნავს. ამით ხაზი გაუსვეს ნოლის მნიშვნე- ლობას. არაბებმა ინდოელებისაგან გადმოიღეს ნოლი, მისი მნიშვნელობა თავიანთ ენაზე თარ- გუნეს და მას «ას-სიფა» უწოდეს. ეს გამოთქ- მა დროთა განმავლობაში შეიცვალა და სხვა ენებში გავრცელდა როგორც «ცოფრია. დიდი ხნის მანძელზე ცოფრია მარტო ნოლს ერქვა, შემდეგ ეს სახელი თვლისათვის საპირო ყველა ათ ნიშნის დაერქვა.









### პატარა გამოცანები

#### ჭარი და მატარებელი


რკინიგზის ხაზის გასწვრივ წაშლი მ მტრის სისწრაფით განუწყვეტლივ უხერხულად ჰყარის. ამ ხაზზე მატარებელი მიდის. გამოიცანით რა სისწრაფით მიდის მატარებელი.



#### თავსატყევი

ნახაზში ჩასმულ პატარა წრიებს შორის უნდა ჩასწვროთ ციფრები ერთიდან თხუთმეტამდე ისე რომ ერთი ციფრი ორჯერ არ გაიმეორას და ჯამი ხუთი რგოლისა ყოველთვის 40 იყოს.

რგოლები საპიროა შევადგინაო და დაჯგუფდეს: ხუთი რგოლი ვარსკვლავის თავებს შორის; ხუთი რგოლი ვერსკვლავის ო აგებზე; ხუთი რგოლი გადაკვეთის ადგილებში; ხუთი რგოლი წვეტილი ხაზით შემოხაზულში.



### სამი გამოცანა

1. როგორ გამოიკრიოთ თბულხედ ნახვრეტს მრგვალი ქლიბით მუყაის ნაჭერში?



2. როგორ გამოიკრიო მრგვალ ნახვრეტს მუყაის ნაჭერში ბრტყლი ქლიბით?



3. როგორ გამოიკრიო პატარა არეს თუნუქის ნაჭერში, როდესაც ქლიბი მასზე ორჯერ მსხვილია?



### პასუხები

ტრამვაისა და რკინიგზის რელსებში: როგორც ცნობილია არიებს რელსებს წინაის იმეტიმ სტოვებენ, რომ სიტვის დროს, გაფართოებისას, რელსები ერთმანეთს მიადევნენ და არ გაილუნოს. ტრამვაის რელსები მიწაში ღრმად არის ჩაფლული და მათზე ტრამპერატურა ნაკლებად მოქმედებს.

ჩაიდნები: ორი ჩაიდნიდან აღრქ ის აღლულდება, რომელსაც ფართო ფსკერი აქვს.

შაქარი და ღრუბელი: შაქარს მრავალი უწყრილესი მილი აქვს, რომელშიც ადენილად შედის წყალი. ღრუბელს კი მილები ფარე აქვს, ამიტომ წყალი მათში ვერ შედის.

სახუმარო გამოცანები: ზღვის ავადმყოფობა; ჩრდილი; წვიმა; სათადარიგო ბოზბალი; სვილიფელი დალაქი; ნოტიები.

გამოცანა-ნუმრობა: 505, 716, 986, 1001, 1111, 1591, 1881, 1961.

#### ლოპინითი:

### სამი ლილი

დააწყვეთ მაგიდაზე სამი ლილი: ერთი შავი შუაში, ორი თეთრი კი იქით-აქეთ. სცადეთ გადაადგილოთ შა-



ვი ლილი მარცხენა ან მარჯვენა მხარეზე ისე, რომ მას ხელი არ ახლოთ.



